პროლეტარიელო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მთავრობის დაკუბაკების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოსცემის 29-ე წელი

სამშაბათი, 8 ივნისი, 1948 წ. № 113 (8157). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

ახალი წარმატებები მოვიპოვოთ სოფლის მეურნეობაში — მოწინავე (1-ლი გვერდი).
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება (1-ლი გვერდი).
წლიური გეგმა — 7 ნოემბრისათვის (1-ლი გვერდი).
ბ. ბალავაძე — კიბინგზის ტრანსპორტის მუშაკების ამაღლებისათვის (მე-2 გვერდი).
საუკეთესოდ დაკუბაკეთოთ ნათესებში — ბრძანებულება მოსავლიანობის ამაღლებისათვის (მე-2 გვერდი).
6 ივნისს საბგზორის ველზე (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

ახალი წარმატებები მოვიპოვოთ სოფლის მეურნეობაში

ხუთ ივნისს პრესაში გამოქვეყნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლისა და ციტრუსთა ნაყოფის უხვი მოსავლის მიღებისათვის კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭებისა და სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ“, ხოლო ექვს ივნისს—სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი: „ყურძნის უხვი მოსავლის მიღებისათვის კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭებისა და სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ“, და „თამბაქოსა და წეკოს უხვი მოსავლის მიღებისათვის კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭებისა და სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ“.

საბჭოთა სუბტროპიკული მეურნეობის შემდგომი აყვავებისათვის ქართველი ხალხის ბრძოლის ისტორიაში ახალი ბრწყინვალე ფურცელი ჩაიწერა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 25 მაისის და 2 ივნისის ბრძანებულებანი განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობის (ლოკუმენტებია, რომლებიც თვალსაჩინო როლს ეკასრებენ საქართველოს მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობიდან განვითარების ხუთწლიანი გეგმის განხორციელებისათვის ბრძოლაში. საქართველო ერთადერთი მხარეა, რომელიც სამრეწველო მასშტაბით წვეთის ოთელ საბჭოთა კავშირს ჩაის, ლიმონს, ფორთოხლისა და მანდარინს. ჩვენს რესპუბლიკაში შექმნილია ჩაისა და ციტრუსების დიდი მეურნეობა. მაინამ სახელმწიფოს ჩაბარება 35.500 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 30.000 ტონისა, 688 მილიონ ცალზე მეტი ლიმონი, ფორთოხალი და ძახვირი.

საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე ჩვენში ფართოდ განვითარდა მეთამბაქოობა და მეკვეხუობა. ჩვენმა მეთამბაქოეებმა 1947 წელს სახელმწიფოს 15.297 ტონა თამბაქოს ნედლეული ჩაბარეს და გეგმა 139 პროცენტით შეასრულეს. საქართველოს ძაღალხარისხოვანი სუფრის ღვინოს ცნობილია მთელ საბჭოთა კავშირში.

ძმადერი სუბტროპიკული მეურნეობის შექმნა საქართველოს ბოლშევიკებისა და მთელი ქართველი ხალხის უდიდესი მონაპოვარია სოფლის მეურნეობის დარგში. ამ შესანიშნავ მონაპოვარს ჩვენი ხალხი უმადლის დიდ სტალინს, საქართველოში სუბტროპიკული კულტურების დანერგვისა და განვითარების ინიციატორს, და ამხანაგ ლ. პ. ბერიას, რომელმაც მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ჩვენს სუბტროპიკულ მეურნეობას.

ახალი ხუთწლიანი გეგმით საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშე დასაწყისად ამოცანები დასახული. 1949 წლის დამლევისათვის ჩაის ბალიტაციების ფართობი აყვანილ უნდა იქნას 55.800 ჰექტარამდე, წელს უნდა გადავაკრაბოთ ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლის ომამდელ დონეს. საქართველოს მშრომელები ეალოდებიან ჩაის ყოველწლიურად გაადიდონ ჩაის წარმოება, რათა უახლოეს 2-3 წელიწადში მთლიანად დაამაყოფილონ ამ პროდუქტით საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება.

1949 წლის დამლევისათვის ციტრუსოვანთა ნარგავების ფართობი აყვანილ უნდა იქნას 27.000 ჰექტარამდე, გაშენება მხოლოდ და მხოლოდ ლიმონი და ფორთოხალი. ეს იმას ნიშნავს, რომ ციტრუსოვანთა ნაყოფის მოსავალი ყოველწლიურად უნდა იზრდებოდეს ასეულ მილიონ ცალობით.

ვენახების ფართობი 1950 წლის დამლევისათვის აყვანილ უნდა იქნას 70.000 ჰექტარამდე. საგრძნობლად გადიდდება თამბაქოს მოსავლიანობა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 25 მაისის და 2 ივნისის ბრძანებულებით მაღალი ჯილდოს მიღება შეუძლია ყველა კოლმეურნეს, საბჭოთა მეურნეობის ყველა მუშას, რომლებმაც თავდადებული შრომით მოიყვანეს უხვი მოსავალი, ყველა ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო მუშაკს, რომლებმაც ბოლშევიკურად მოაწყეს ბრძოლა ჩაის, ციტრუსების, ყურძნის, თამბაქოსა და წეკოს მოსავლიანობის გასაღიდებლად.

ბრძანებულებებით დაწესებული მაჩვენებელები მისაწვდომია მეჩაიეთა, მეციტრუსეთა, მეთამბაქოეთა და მეკვეხეთა ფართო მასებისათვის. მაგალითად, კოლმეურნეობის მეგრილელის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭება ორანჟერეა ორი ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 8.000 კილოგრამი ჩაის ფოთლის მიღებისათვის, 800 ძირ ბახვიანარე სრულასაკოვან თვითეულ ხეზე 400 ცალი ლიმონისა და ფორთოხლის, 2.000 ძირ ბსხვიანარე სრულასაკოვან თვითეულ ხეზე — 1.000 ცალი მანდარინის მოყვანისათვის.

კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მეგრილელის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭება სარწყავ ვენახებში არანაკლებ სამი ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 160 ცენტნერი ყურძნის მიღებისათვის, ხოლო უბრწყავ ვენახებში — 100 ცენტნერის მოყვანისათვის.

კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მეგრილელის ბრიგადის მეგრილელის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭება აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში არანაკლებ სამი ჰექტარი თამბაქოს თვითეულ ჰექტარზე 28 ცენტნერი „ტრაპეზონის“ ჯიშის თამბაქოს, დასავლეთ საქართველოს რაიონებში თვითეულ ჰექტარზე 25 ცენტნერის მიღებისათვის, ხოლო აჭარისა და აფხაზეთის ბსხვიანარეებში არანაკლებ სამი ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 18 ცენტნერი „სამსუნის“ ჯიშის თამბაქოს მოყვანისათვის.

ამ ბრძანებულებათა უდიდესი ძალა ის არის, რომ ისინი ზრდიან თვითეული კოლმეურნის, საბჭოთა მეურნეობის თვითეული მუშის, თვითეული სპეციალისტის, სოფლის ყველა მუშაკის დაინტერესებას კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მიერ დაწესებული მოსავლიანობის გეგმის აუცილებლად შესრულებით, სახელმწიფო დავალებათა მთლიანად განაღდებით. მაგალითად, რიგის კოლმეურნეს, მუშას, მეგრილელს, ბრიგადირს, ისევე როგორც კოლმეურნეობის თავმჯდომარეს და საბჭოთა მეურნეობის დირექტორს, შეეძლიათ მაღალი ჯილდოს ღირსი გახდნენ, თუ ჩაის პლანტაციებისა და ციტრუსოვანი ხეების დანარჩენი ფართობიდან რგოლი, ბრიგადა, კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა და საბჭოთა მეურნეობის განყოფილება აიღებს ამ კულტურისათვის დაწესებულ გეგმიან მოსავალს; თუ კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მიერ აუცილებლად შესრულებულია ახალი ნარგავების გაშენების გეგმა; თუ კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ შეასრულეს სახელმწიფოსათვის ჩაის ხარისხოვანი მწვანე ფოთლისა და ციტრუსების ჩაბარების გეგმა, აგრეთვე კოლმეურნეობამ ეკასრულა საკალდებული ჩაბარება და კონტრაქტაცია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ყველა სახის მიხედვით და ნატურა-საზღაური მტკ-ის მუშაობისათვის; თუ კოლმეურნეობა ყველა კულტურის თესლით არის უზრუნველყოფილი ამ ოდენობით, რაც საჭიროა მომავალი წლის მოსავლისათვის.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს, პარტიის რაიონული კომიტეტების მდივნებს, სოფლის მეურნეობის რაიონულ განყოფილებათა გაგებებსა და მთავარ აგრონომებს, რომლებიც თავიანთი მუშაობით უზრუნველყოფენ მთლიანად რაიონში ჩაის ხარისხოვანი მწვანე ფოთლის, ციტრუსთა ნაყოფის, ყურძნის მოკრეფის გეგმის, თამბაქოს და წეკოს მოსავლის აღების გეგმის, სულ მცირე 15 პროცენტის გადაჭარბებით შესრულებას, მიენიჭებთ სოციალისტური შრომის გმირის წოდება, ცხადია, იმ პირობით, თუ მთლიანად რაიონის მიერ შესრულებულია ყველა ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები დიდი ამოცანების წინაშე დგანან. მათი მოვალეობაა ყველა კოლმეურნეს, საბჭოთა მეურნეობის მუშას საფუძვლიანად გააცნონ და განუმარტონ 25 მაისისა და 2 ივნისის ბრძანებულებანი, სათავეში ჩაუდგნენ სოციალისტურ შეჯიბრებას და დარაზმონ მასები სოფლის მეურნეობის ახალი ალმავლობის მისაღწევად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი გამოქვეყნდა იმ მოგეზეში, როცა გაჩაღებულია ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა, ჩაის, ციტრუსების, ვენახებისა და თამბაქოს პლანტაციების დამუშავება. ამოცანა ის არის, რომ ჩაის ფოთოლი ეკრიფოთ ყოველდღიურად, არ დაეშვათ მისი ყოველდღიურად, არ დაეშვათ მისი გაუხეშება. ციტრუსების მოსავალს კარგი პირი უჭირს. ამთავითვე გვაჩაღოთ მზადება მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის, კარგად მოგაწყოთ შრომა. ციტრუსის ხე ყოველდღიურ მოვლასა და ყურადღებას საჭიროებს. ეს ეკ შეიძლება უზრუნველყოთ მხოლოდ იმ პირობით, თუ ბრიგადებსა და რგოლებში ინდივიდუალური სანარგო სხატება განხორციელდება. უკეთ უნდა მოვაწყოთ ვაზის მოვლა.

უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებს სოფლის მშრომელები დიდი ემაყოფილებითა და სიხარულით შეეხვდნენ. პირველი ცნობები მოწმობენ, რომ სოფლად ახალი პატრიოტული ალმავლობა დიფრო, ჩაღდება საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება. მეჩაიეებს, მეციტრუსეებს, მეთამბაქოეებსა და მეკვეხეებს დასჭირდებათ გადასინჯონ მათ მიერ წინათ ნაკისრი ვალდებულებანი ბრძანებულებებთან შეფარდებით. მთელი ძალითა და ენერგიით უნდა ვიბრძოლოთ ბრძანებულებებით დაწესებული მაჩვენებლების მიღწევისათვის, ვამრავლოთ სოციალისტური შრომის გმირების და ორდენოსნების რიგები.

გავაძლოთოთ ის უდიდესი ყურადღება და გულისხმიერება, რასაც ამხანაგი ს ტალინი აჩენს საბჭოთა სუბტროპიკების განვითარების საკითხებისადმი! საბჭოთა სამშობლოს მოვიკეთ მეტი ჩაი, ციტრუსი, მაღალხარისხოვანი ღვინო, თამბაქო!

წლიური გეგმა—7 ნოემბრისათვის

ჭყიბულელ მეშახვეთა ვალდებულებანი

ტყიბულელი მეშახტეები მოწონებით შეხვდნენ თბილისის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების მიმართვას წლიური გეგმის 7 ნოემბრისათვის შესრულების შესახებ. შახტებში მიმართვის განსახილველად მოწვეულ კრებებზე მეშახტეებმა ახალი ვალდებულებები აიღეს.

სტალინის სახელობის შახტის მესამე უბნის მოწინავე ცალნის უფროსმა ვ. ქათამაძემ განაცხადა: ჩემი ცალნა საწარმოო გეგმას სისტემატიურად გადაჭარბებით ასრულებს. 5 თვის გეგმის გადამეტებით აბობთ ტონა ქვანახშირი ამოვიღეთ. ცალნის მეშახტეთა დაკალებით ერთსულოვნად ეეუჭერთ მხარს თბილისელთა ინიციატივას, და ვკისრულობთ დიდი ოქტომბრის 31 წლისთავისათვის შეკასრულთ წლიური გეგმა.

უბნის უფროსმა პ. ნანიკაშვილმა, რომელმაც ხუთ თვეში ნახევარი წლის დავალება გაანალიზა, იკისრა წლიური გეგმის 7 ნოემბრისათვის შესრულება. ასეთივე ვალდებულება იკისრა სამთომოსამზადებელ სამუშაოთა უბანმა, რომელსაც, ი. თოფურია ხელმძღვანელობს.

სტახანოველმა მეშახტეებმა ს. ლაფერაძემ, ს. ლანჩავად და მ. იანკინმა 7 ნოემბრამდე წლინახევრისა და ორი წლის გეგმების შესრულება დაიკიეს.

ს. მარკვილაძე
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

თბილისი. დაზანათმფენელი ქარხანა „დაზგა“. სურათზე: პროფესიონალი მბეჭდელი შეჯიბრების მონაწილენი ზეინალი მ. ახვლედიანი (მარცხნივ) და რ. მურკოკინელი, რომელთაც დღიურ ნორმებს 250-300 პროცენტ ნგნით ასრულებენ.

ფოტო ეკ. გინზბურგისა და რ. ალიფოვისა

500 ათასი მანეთის პროდუქცია გეგმის გადამეტებით

გასული წლის მეოთხე კვარტალიდან თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი თვიდან თვემდე აუმჯობესებს მუშაობას, ადიდებს პროდუქციის გამოშვებას, ზრდის შრომის ნაყოფიერებას. განსაკუთრებით ენერგიულად დაიწყეს კომბინატში მუშაობა მიმდინარე საქვეტნეო წლის დამდეგიდან. საწარმოო გეგმის საგრძნობი გადაჭარბებით შესრულებისათვის იანვრის მუშაობის შედეგების მიხედვით საკავშირო სოციალისტური შეჯიბრებაში კომბინატს მიეკუთვნა მესამე ადგილი და 50 ათასი მანეთი ფულადი პრემია. კომბინატის მუშაკებმა მომდევნო თვეებში არათუ შეინარჩუნეს იანვრის მიღწეული, არამედ კიდევ უფრო გაიუმჯობესეს მუშაობა. ამის შედეგად თებერვალში, მარტსა და აპრილში კომბინატი საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში სამი თვეა ზედიზედ მეორე ადგილზე გამოდის.

სასაკონლო პროდუქციის გამოშვების 5 თვის გეგმა კომბინატის ძალისხმევამ ფებრიკამ 18 მაისისათვის შეასრულა, ხოლო სატრიკოტაჟო ფებრიკამ—27 მაისისათვის. გასული წლის ნოემბრში კომბინატს შეემატა ქალის წინდების სპეციალ სამაჭრო, რომელიც დადგმულია კოტრნის სისტემის 45 დაზგა.

ამ წარმატებას კომბინატის კოლექტივი ალწევეა შრომის სწორი ორგანიზაციით, სოციალისტური შეჯიბრებისადმი კონკრეტული ხელმძღვანელობით, თვითეულ მაჭანაზს საკუთარი სტახანოველური ვინრიგი აქვს, სტახანოველმა წინასწარ იცის, თუ რა უნდა გაკეთოს ამა თუ იმ დღეს, გამოიყენებულია ინდივიდუალური შეჯიბრება, ინრძენან ძასალის მომჭიანრეობით ხარჯვის, ბანქანის სრული სიმძლავრით გამოყენების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითფიარებულების შემცირებისათვის. მუშათა 97 პროცენტი გადაჭარბებით ასრულებს გამომუშავების ნორმებს. ყოველივე ამის შედეგად, კომბინატში პროდუქციის თვითფირებულება გეგმით გათვალისწინებულთა 2,5 პროცენტის ნაცვლად 6,2 პროცენტით შეამცირეს, რაც ფულად გამოხატულებით 427 ათას მანეთს უდრის. შრომის ნაყოფიერება თვიდან თვემდე იზრდება. მაგალითად, თუ შრომის ნაყოფიერების მაჩვენებელი იანვარში 98 პროცენტს უდრიდა, თებერვალში იყო 103,5, მარტში — 105,8, ხოლო აპრილში—111,5 პროცენტი. უკანასკნელი ოთხი თვის განმავლობაში კომბინატი ნორმით გათვალისწინებულზე ნაკლები მუშახელით გადაჭარბებით ასრულებს გეგმებს. განსელილ ხუთ თვეში დაზოგილია 5,2 ტონა ბამბა და 54.500 კილოვატსაათი ელექტროენერგია.

2 ივნისს თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში განხილიეს და ერთსულოვნად მიიწონეს თბილისის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების მიმართვა ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის გეგმის 7 ნოემბრისათვის შესრულების შესახებ. კომბინატის კოლექტივმა იკისრა: სტალინური კონსტიტუციის დღის—5 დეკემბრისათვის შეასრულოს ნატურალური პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა, წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით დაამზადოს 500 ათასი მანეთის პროდუქცია.

მიმართვის განსახილველად მოწვეულ კრებაზე ათობით სტახანოველი ინდივიდუალურ შეჯიბრებაში ჩაეგნა და საწარმოო დავალებათა 150-180 პროცენტით შესრულება იკისრა.

ს. თავდოლაძე

ამცირებენ თვითფირებულებას, აღიდებენ დაგროვებას

გორის საწარმოებში ფართო გამოხმაურება ჰპოვა თბილისის მეფრწინავე საწარმოთა კოლექტივების მიმართვამ — წლიური გეგმის 7 ნოემბრისათვის შეასრულონ მუშაობა.

საკონსერვო ქარხნის კოლექტივმა იკისრა წელს გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცეს 500 ათასი ქილა სკონსერვო ნაწარმი, ხუთწლიანი გეგმა შეასრულოს 4 წელიწადში და თვითფიარებულება გეგმასთან შეფარდებით შეამციროს ერთი პროცენტით.

თბილისელთა მიმართვას მხურვალედ გამოეხმაურნენ გორის ხე-ტყის სახერხი ქარხნის მუშა-მოსამსახურეებიც. ამ ქარხნის მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა იკისრეს წლიური გეგმის 7 ნოემბრისათვის შესრულება, ზარშანდელ წელთან შედარებით პროდუქციის თვითფირებულების 10 პროცენტით შემცირება, შრომის ნაყოფიერების გადიდება 5 პროცენტით და წლის ბოლომდე სუნდენტიფიფოსათვის 100 ათასი მანეთი დაგროვების მიეცემა. სტახანოველმა გ. სოლოიოვმა იკისრა წლიური გეგმა 7 ნოემბრისათვის 150 პროცენტით შეასრულოს. ასეთივე ვალდებულება აიღეს მედაზგე ვ. ხუციოშვილმა და სხვებმა.

წლიური გეგმების 7 ნოემბრისათვის შესასრულებლად გაჩაღებულ შეჯიბრებაში გორის სხვა საწარმოთა კოლექტივებიც ებმებიან.

შ. ჩუბინიძე
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ბ. ბ. ბელინსკის გარდაცვალების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო

გუშინ რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში ჩატარდა დიდი რუსი კრიტიკოსისა და რევოლუციონერი-დემოკრატის ბ. გ. ბელინსკის გარდაცვალების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო.

პრეზიდიუმს მაგიდას უსხედან: ზ. კეკნაშვილი, ვ. ეგნატაშვილი, ი. ზოდელავა, ვ. კუპრაძე, ა. ყაკაძე, გ. კიკნაძე, ა. ხელიაძე, ბ. ჯიბლაძე, რ. შადური, საბჭოთა კავშირის გმირი დ. ბაქრაძე, ა. ზორაია, ა. ვასაძე, შ. დადიანი, ნ. ჩიქოვანი, ი. გრიშაშვილი, ა. აბაშელი, თ. ამბაკელია და ახვა პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მწერლები, მსახიობები.

საზეიმო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა ვ. კეკნაძემ.

მოხსენება თქმა ზეიმზე: „ბ. გ. ბელინსკის ცხოვრება და შემოქმედება“ — წაიკითხა ამბ. ვ. ეგნატაშვილმა.

მოხსენების შემდეგ აჩვენეს ა. გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“ (მეორე მოქმედება). მონაწილეობდნენ გრიბოედოვის სახელობის თეატრის მსახიობები: ი. ბოდროვი, ა. ზაგარსკი, ა. სპირანენი, ფ. ბელოუსოვი, ნ. სპერანსკაია, და ი. ზლობინი.

საკონცერტო განაყოფლებაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის მსახიობებმა: ვ. გრიგორაშვილმა, ტ. შარატა-ფოლოდიკმ, ელ. ვასტენინამ, პ. ამირანაშვილმა და სხვებმა.

ნოკრასოვის ლექსი „ბელინსკის“ წაიკითხა ი. ბოტოროვმა, ბ. ბელინსკის „წერილი ბოტკინს“ — ი. ზლობინმა.

დასასრულ წარმოადგინეს ნ. გოგოლის „რევიზორი“ (მეორე მოქმედება). მონაწილეობდნენ გრიბოედოვის სახელობის თეატრის მსახიობები: ი. ზაგორსკი, ვ. ნეკნოვი, კ. მიუფეკე და დ. ზლობინი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭომ თავმჯდომარეს გენერალისიმუს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოსკოვი

გთხოვთ თქვენ, ბატონო გენერალისიმუსო, და საბჭოთა მთავრობას მიიღოთ ფინელი ხალხის, აგრეთვე პირადად ჩემი დიდი და გულწრფელი მადლობა დიდსულოვანი და ვაჟკაცური გადაწყვეტილებისათვის ფინეთის სარეპარაციო ვალის არსებითად შემცირების შესახებ.

ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი
ი. კ. პაასიკივი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საბჭოთა ხელოვნების მოღვაწეებისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხელოვნების დარგში თვალსაჩინო შემოქმედებითი მიღწევებისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდება მიენიჭოთ:

ალექსანდროვს გრიგოლ ვასილის-ძეს — კინორეჟისორს,

ბერსენევს ივანე ნიკოლოზის-ძეს — ლენინური კომკავშირის სახელობის მოსკოვის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს,

ვასილიევს სერგი დიმიტრის-ძეს — კინორეჟისორს,

გოლოვანოვს ნიკოლოზ სიმონის-ძეს — დიდი სახელმწიფო აკადემიური თეატრის მთავარ დირიჟორს,

ლეგბოვ-სორკინს გლებ პავლეს-ძეს — ბელორუსიის იანკა კუპალას სახელობის სახელმწიფო დრამატიული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელსა და მსახიობს

დაუფუვეტინს ბორის ფარანეის-ძეს — ვილნიუსის ლიტეური დრამატიული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს,

ზავადსკის იური ალექსანდრეს-ძეს — მოსკოვის საბჭოს სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს,

**კედრო

რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობის შემდგომი აღმავლობისათვის

მიმდინარე სტალინური ხუთწლედი ითვალისწინებს პირველ რიგში მძიმე მრეწველობისა და რკინიგზის ტრანსპორტის აღდგენასა და შემდგომ განვითარებას. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან უამისოდ წარმოუდგენელია სახალხო მეურნეობის სწრაფად აღდგენა და მისი შემდგომი აღმავლობა.

რკინიგზის მუშაკთა მიღებისას კრემლში 1935 წლის 30 ივლისს ამხანაგმა სტალინმა სთქვა:

— ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს არსებობა და განვითარება, სახელმწიფოსი, რომელიც თავისი სიდიდით სჭარბობს მსოფლიოს თვითეულ სახელმწიფოს, მათ შორის ინგლისსაც თავისი კოლონიებით (დომინიონების გამოკლებით) წარმოუდგენელია, თუ მოწესრიგებული არ იქნება რკინიგზის ტრანსპორტი, რომელიც ჩვენი ქვეყნის ვეებერთელა ოლქებს აკავშირებს ერთ მთლიან სახელმწიფოებრივ ერთეულად.

ტრანსპორტის სხვადასხვა სახეთა შორის (სანაოსნო, საჰაერო, საავტომობილო) რკინიგზის ტრანსპორტი სახალხო მეურნეობის მომსახურებაში წარმოადგენს გადამწყვეტი მნიშვნელობის რგოლს. 1950 წელს ყველა სახის სატრანსპორტო საშუალებებით ტვირთბრუნვამ საბჭოთა კავშირში უნდა მიაღწიოს 657,5 მილიარდ ტონა-კილომეტრს. აქედან მარტო რკინიგზის ტრანსპორტით ტვირთბრუნვა გათვალისწინებულია 532 მილიარდი ტონა-კილომეტრის რაოდენობით. ამრიგად, რკინიგზის ტრანსპორტის ხვედრითი წონა საერთო ტვირთბრუნვაში 80,9 პროცენტს აღწევს.

საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომი სწრაფი განვითარება უშუალოდ დამოკიდებულია ამიერკავკასიის რკინიგზის უნარიან მუშაობაზე. რუსთავის მეტალურგიული ქარხანა ყოველწლიურად გამოუშვებს ასეულ ათას ტონა თუჯს, ფოლადს, ნაგლინს; ქუთაისის საავტომობილო ქარხანა 1950 წელს უკვე მოგვცემს 15.000 ცალ საუკეთესო სატვირთო ავტომანქანას; ქვანახშირის მრეწველობის რაიონებში ახალი შახტების ამუშავებით ქვანახშირის ყოველწლიური ამოღება 2.400.000 ტონას მიაღწევს; ფართოვდება მარგანეცის ამოღება ჭიათურაში. ამას დაერთვის ფართო მოხმარების საქონლის წარმოების თანდათანობითი ზრდა, სათეს ფართობთა, განსაკუთრებით სუბტროპიკულ და ტექნიკურ კულტურათა ფართობების გადიდება, საბინაო და საკურორტო მშენებლობის გაშლა. მთელ რიგ ახალ საწარმოთა ამუშავება კიდევ უფრო გაზრდის რკინიგზისადმი მოთხოვნილებებს, ვინაიდან საჭირო იქნება ამ საწარმოთა უზრუნველყოფა ნედლეულით, საწვავით, სურსათ-სანოვაგით და ამასთან, ბუნებრივია, საჭირო იქნება საწარმოებიდან მზა პროდუქციის გატანაც.

ყოველივე ეს ამიერკავკასიის რკინიგზის წინაშე ახალ გადიდებულ ამოცანებს აყენებს. საშუალო სადღეღამისო დატვირთვა 1947 წლის დატვირთვის გეგმასთან შედარებით 1950 წელს უნდა გადიდდეს თითქმის ერთიორად, ხოლო ტვირთბრუნვა 2,25-ჯერ.

იმისათვის, რათა ამიერკავკასიის რკინიგზამ პირნათლად შეასრულოს მის წინაშე მდგარი დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანები, აუცილებელია მთელი ძალების დაძაბვა, ადამიანთა და მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა მაქსიმალური მობილიზაცია.

ამიერკავკასიის რკინიგზის წინაშე დასახული ამოცანების გადასაჭრელად გათვალისწინებულია გზის ცალკე უბნების ტექნიკური გაუმჯობესება და რეკონსტრუქცია, ტვირთბრუნვის მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანი სადგურების გაფართოება, სასაწყობო მეურნეობის გაუმჯობესება, მეორე პარალელური ლიანდაგის გაყვანა და სხვ. დიდი მასშტაბის სამუშაოები შესრულდება საელმავლო და სავაგონო დეპოების გასაფართოებლად და ტექნიკური აღჭურვილობის გასაუმჯობესებლად, აგრეთვე დატვირთვა-გადმოტვირთვის მექანიზაციის დასანერგავად.

ყველა ეს ღონისძიება მიმართულია იქითკენ, რომ გადიდდეს ამიერკავკასიის რკინიგზის გამტარუნარიანობა, უზრუნველყოფილ იქნას მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოობა და მკვეთრად გაუმჯობესდეს მგზავრთა მომსახურება.

მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოობის, განსაკუთრებით მძიმე წონის მატარებელთა ტარების უსაფრთხოობის ყველაზე საიმედო საშუალება ამიერკავკასიის რკინიგზის რთული პროფილის პირობებში არის ელექტროფიკაცია და ავტობლოკირება. ამიტომაც ახლა გაძლიერებული ტემპით მიმდინარეობს საელექტროფიკაციო სამუშაოები და ავტობლოკირების მოწყობა გზის ყველაზე მნიშვნელოვან უბნებზე. მიმდინარე ხუთწლედის ბოლოსათვის საქართველოს ელექტროფიცირებულ რკინიგზის ლიანდაგთა სიგრძემ ქსელის საერთო მანძილთან შედარებით 70 პროცენტს უნდა მიაღწიოს, ხოლო კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა მთელ გზაზე 400 მილიონ მანეთს გადააჭარბებს.

ჩვენი რკინიგზელები წარმატებით იბრძვიან მათ წინაშე დასახული ამოცანების შესასრულებლად. ამის შედეგია, რომ ახალი სტალინური ხუთწლედის პირველ წელს ამიერკავკასიის რკინიგზამ დატვირთვის გეგმა 9,2 პროცენტის გადამეტებით შეასრულა, მგზავრთა გადაყვანის წლიური გეგმა — 13,8 პროცენტის გადამეტებით, შემოსავლის გეგმა—2,3 პროცენტის გადამეტებით.

ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივი ერთსულოვნად გამოეხმაურა ლენინგრადელების ინიციატივას ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესრულების შესახებ. სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლებისა და ენერგიული შრომის შედეგად მან 1947 წელი სერიოზული წარმატებებით დაამთავრა.

წარმატებით მუშაობენ ამიერკავკასიის რკინიგზელები წელსაც. ამის დამადასტურებელია შემდეგი მაჩვენებლები: 1948 წლის პირველი კვარტალის საშუალო სადღეღამისო დატვირთვის გეგმა შესრულებულია 143,5 პროცენტით, გადმოტვირთვისა კი 107,8 პროცენტით. შესამჩნევად გაძლიერდა ბრძოლა მოძრაობის უსაფრთხოობისათვის, გაუმჯობესდა ხელმძღვანელობა ძირეული საწარმოო ორგანიზაციებისადმი, ფართო გასაქანი მიეცა მასების შემოქმედებითს ინიციატივას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების კარგი მუშაობა. გასული წლის დასაწყისში ლენინგრადის მოწინავე საწარმოთა გამოწვევის პასუხად თბილისის სამგზავრო განყოფილების კოლექტივმა შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინა: სამგზავრო მატარებელთა ბრიგადებმა იკისრეს ვაგონების სანიმუშოდ მოვლისა და მატარებლიდან ვაგონთა მოუხსნელად რემონტის წარმოების მოწესრიგების საშუალებით თვითეული სამგზავრო მატარებლის გარბენა გაედიდებინათ 100.000 კილომეტრამდე. თბილისელ რკინიგზელთა ეს ინიციატივა მოიწონა გზათა სამინისტრომ და სულ მოკლე ხანში ასიათასოვანთა მოძრაობა გავრცელდა საბჭოთა კავშირის მთელ რკინიგზაზე.

აღსანიშნავია ამიერკავკასიის რკინიგზის საწარმოებში სტახანოვური განრიგით მუშაობის შემოღება თბილისის საელმავლო დეპოს კოლექტივის ინიციატივით. სტახანოვური განრიგით მუშაობაზე გადასვლამ გამოიწვია შრომის ნაყოფიერების გადიდება საშუალოდ 7 პროცენტით. ამის შედეგია ისიც, რომ დეპოში ამჟამად არა ჰყავთ ისეთი მუშა, რომელიც ნორმების შესრულებაში ჩამორჩებოდეს, ხოლო ამავე დროს მრავლად არიან ისეთნი, რომლებიც 300-400 პროცენტით ასრულებენ საწარმოო გეგმებს.

თბილისის განყოფილების რკინიგზელები გამოვიდნენ მძიმე წონის მატარებელთა ტარების ინიციატორებად. ამან დიდად შეუწყო ხელი განყოფილების მიერ საშუალო სადღეღამისო დატვირთვა-გადმოტვირთვის გეგმების გადაჭარბებით შესრულებას.

1947 წლის ბოლოს თბილისის საორთქლმავლო დეპოს ცნობილი მემანქანის ამხ. ყიფიანის ინიციატივით დაიწყო შეჯიბრება ორთქლმავლების გარეცხვიდან გარეცხვამდე გარბენის გასადიდებლად 30.000 კილომეტრამდე, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 8.000 კილომეტრისა. ამ ინიციატივას მხარი დაუჭირეს უფროსმა მემანქანეებმა გვენეტაძემ, კუზმინმა, ტაბატაძემ და წიკლაურმა, რომლებმაც ამხ. ყიფიანის ხელმძღვანელობით მოაწყეს კოლონა ხუთი ორთქლმავლის შემადგენლობით, სახელწოდებით „ხუთწლედი ოთხ წელიწადში“. ყველა მათგანმა ნაკისრი ვალდებულება ორთქლმავლების გარეცხვიდან გარეცხვამდე გარბენის 30.000 კილომეტრამდე გადიდების შესახებ პირნათლად შეასრულა და ამით, გარდა რეკორდის დამყარებისა, მნიშვნელოვნად გაადიდა ორთქლმავლის გამოყენების კოეფიციენტი. ამან დიდად შეუწყო ხელი როგორც ცალკე ორთქლმავლების, ისე მთლიანად დეპოს რენტაბელურად მუშაობას.

საჭიროა ამხ. ყიფიანის და მისი კოლონის მუშაობის მეთოდები და გამოცდილება ფართოდ გავავრცელოთ ამიერკავკასიის ყველა საორთქლმავლო დეპოში. ამ საქმეს ხელი უნდა მოჰკიდონ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს საორთქლმავლო სამსახურის ხელმძღვანელობამ და პროფკავშირის საგზაო კომიტეტმა.

მიუხედავად აღნიშნული მიღწევებისა, შარშან რკინიგზის თბილისის განყოფილების კოლექტივმა ვაგონების მიმოქცევის გეგმა მხოლოდ 82,1 პროცენტით შეასრულა. სატვირთო ოპერაციებისას ვაგონების გაცდენამ კი 0,5 პროცენტით გადააჭარბა არსებულ ნორმას. განყოფილების ხელმძღვანელებმა შეისწავლეს ამ ჩამორჩენის მიზეზები და დასახეს ღონისძიებანი. მთელ რიგ მნიშვნელოვან სადგურებზე (თბილისი, ხაშური, რუსთავი, კასპი) მივლინებულ იქნა სპეციალური ბრიგადები, რომლებიც ამ სადგურთა მუშაკებს ეხმარებოდნენ ტვირთზიდვის გაუმჯობესებაში. შედეგად სატვირთო ოპერაციებისას ვაგონების გაცდენა საგრძნობლად შემცირდა. თუ ვაგონების მიმოქცევის 1948 წლის პირველი კვარტალის გეგმა 89 პროცენტით შესრულდა, აპრილში მან უკვე 96,2 პროცენტს მიაღწია. საჭიროა მუშაობის კიდევ უფრო გაუმჯობესება, რომ რკინიგზის თბილისის განყოფილებამ თავი დააღწიოს ჩამორჩენას ვაგონების მიმოქცევის გეგმების შესრულებაში.

ვაგონების მიმოქცევის დაჩქარებისათვის ბრძოლა სუსტადაა გაშლილი აგრეთვე რკინიგზის სამტრედიის განყოფილებაში. სამტრედიის განყოფილება როგორც სამუშაოს მოცულობით, ისე სირთულის მიხედვით სერიოზული უბანია. საშუალო სადღეღამისო დატვირთვის გეგმაში ამ განყოფილების ხვედრითი წონა ამიერკავკასიის რკინიგზაზე თითქმის 50 პროცენტს უდრის. ეს მოწმობს, რომ სამტრედიის განყოფილების გამართულ, შეუფერხებელ მუშაობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საერთოდ მთელი გზისათვის. მართალია, ამ ბოლო დროს სამტრედიის განყოფილებამ შარშანდელთან შედარებით გააუმჯობესა მუშაობა, ვაგონების დატვირთვა-გადმოტვირთვის გეგმებს ასრულებს, მაგრამ ჯერ კიდევ მეტად დიდია სატვირთო ოპერაციებისას ვაგონის გაცდენა. 1948 წლის პირველ კვარტალში ვაგონების მიმოქცევის გეგმა მხოლოდ 74,4 პროცენტით იქნა შესრულებული. ნათლად რომ წარმოვიდგინოთ, თუ რა დიდ ზარალს აყენებს ეს სახელმწიფოს, საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ამ დარგში გეგმის შესრულებით, ე. ი. ვაგონების მიმოქცევის გეგმიანი მაჩვენებლების მიღწევით სამტრედიის განყოფილება რკინიგზის ტრანსპორტს საშუალებას მისცემდა დღეღამეში საშუალოდ გამოეყვანა დამატებით კიდევ 230 ვაგონამდე. ეს საგრძნობლად გააუმჯობესებდა ჩვენი სახალხო მეურნეობის მომსახურებას და საკმაოდ მნიშვნელოვან შემოსავალსაც მისცემდა სახელმწიფოს. განყოფილებას ვაგონების მიმოქცევის გეგმების შესრულების მაჩვენებლები გაცილებით უკეთესი ექნებოდა, რომ ცალკეული საწარმოების ხელმძღვანელები, რომლებიც დიდი რაოდენობით იღებენ და ჰგზავნიან სხვადასხვა სახის ტვირთებს, სერიოზულად ეკიდებოდნენ ვაგონების დროზე დაცლისა და დატვირთვის საქმეს. 1948 წლის პირველ კვარტალში სატვირთო ოპერაციებზე მოცემულ ნორმების გადამეტებით გაცდენილ იქნა: ფოთის წისქვილკომბინატის მიზეზით — 5748 ვაგონსაათი, გლავნეფტესბიტის მიზეზით — 3419 ვაგონსაათი, ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მიზეზით—2189 ვაგონსაათი, ბათუმის ციტრუსკომბინატის მიზეზით —513 ვაგონსაათი და სხვ.

ვერ შეასრულა 1948 წლის პირველ კვარტალში ვაგონების მიმოქცევის გეგმა ვერც სოხუმის განყოფილებამ.

ამრიგად, ჩვენი რკინიგზის მუშაობის სერიოზულ ნაკლად რჩება ვაგონების მიმოქცევის დავალებათა შეუსრულებლობა. რკინიგზის ტრანსპორტის ხელმძღვანელ მუშაკთა ერთი ნაწილი ყურადღებას არ აქცევს ვაგონთა მიმოქცევის დაჩქარების საქმეს. ხშირად ხდება, რომ ვაგონების მოწოდების დაგვიანებისათვის, მატარებელთა ფორმირების გაჭიანურებისათვის პასუხს არავის სთხოვენ. მატარებელთა შემდგენელს, გადამბმელებს, მეისრეებსა და მოძრაობის დარგის მუშაკებს შორის არ სწარმოებს ახსნა-განმარტებითი მუშაობა ვაგონთა მიმოქცევის დაჩქარების მნიშვნელობაზე. ამის შედეგად მთელი რიგი სადგურები (სოხუმი, სამტრედია, ფოთი, ქუთაისი და ა. შ.) ცუდად მუშაობენ, მოუწესრიგებელია სადგურებზე მატარებელთა შემოსვლისა და გადმოსატვირთავად ან დასატვირთავად დაყენებული ვაგონების რაოდენობის შესახებ ინფორმაციის საქმე.

ვაგონების გაცდენას, მათი მიმოქცევის შენელებას იწვევს აგრეთვე სატვირთო ოპერაციებისას ე. წ. მცირე მექანიზაციის დანერგვის უგულებელყოფა. პრაქტიკულად ამ საქმეს არავინ ხელმძღვანელობს.

რკინიგზის ტრანსპორტის მთელ რიგ სამეურნეო ორგანიზაციებში და სადგურებზე ჯერაც ვერ შესძლეს რიტმული მუშაობის მტკიცედ დანერგვა. კვლავ ხშირად მიმართავენ იერიშობანას, რაც იწვევს მუშახელის გამოყენების არასწორ პრაქტიკას. მაგალითად, საორთქლმავლო მეურნეობაში მიმდინარე წლის პირველ კვარტალში 22024 მეტი საათის მუშაობა დაუშვეს, მაშინ როცა მუშახელის გაცდენამ ხელმძღვანელთა მოუქნელი მუშაობის შედეგად 33.347 სამუშაო საათი შეადგინა. ასეთივე მდგომარეობაა სავაგონო მეურნეობაშიც. ყოველივე ეს, ბუნებრივია, იწვევს შრომის ნაყოფიერების შემცირებას, პროდუქციის თვითღირებულების ზრდას. ამის შედეგად შარშან ამიერკავკასიის რკინიგზაზე ტვირთზიდვის თვითღირებულების გადიდებით გამოწვეულმა ზარალმა საგრძნობლად დიდი თანხა შეადგინა.

ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელობამ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს შრომის ორგანიზაციის საკითხებს. საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ ყველგან, სადაც კი შესაძლებელია, დაინერგოს სამეურნეო ანგარიში, ხოლო სადაც ეს ჯერჯერობით არ შეიძლება, სამეურნეო ორგანიზაციათა ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან იმუშაონ უფრო მოფიქრებულად, ისე, რომ უახლოეს პერიოდში მიაღწიონ თავიანთი მეურნეობის რენტაბელობას.

ამიერკავკასიის რკინიგზას ბევრად უკეთესი მაჩვენებლები ექნებოდა, რომ სატრანსპორტო პარტიული ორგანიზაციები უკეთესად იბრძოდნენ არსებულ ნაკლოვანებათა გამოსავლინებლად და გამოსასწორებლად. სატრანსპორტო პარტიული ორგანიზაციების ერთი ნაწილი წარმოების საკითხებისადმი საკმაო ინტერესს არ იჩენს. ისინი არ სწავლობენ წარმოების ეკონომიკას, ვერ ახერხებენ საკითხების სიღრმეში ჩაწვდომას და ამიტომაც ზოგჯერ გვერდს უვლიან ისეთ მოვლენას, როდესაც საწარმოო გეგმა არ სრულდება, შრომის დისციპლინა ირღვევა და ა. შ. ხდება ისიც, რომ პარტიულ ორგანიზაციათა ზოგ ხელმძღვანელ მუშაკს ავიწყდება ყურადღება მიაქციოს სამეურნეო ხელმძღვანელობის ძირითად საკითხებს, გამოიყენოს პარტიული ორგანიზაციის უფლება—კონტროლი გაუწიოს სამეურნეო ხელმძღვანელთა საქმიანობას.

საკვანძო პარტიული კომიტეტები და პირველადი ორგანიზაციები მოვალენი არიან დაუყოვნებლივ გარდაჰქმნან მუშაობა, ღრმად ჩასწვდნენ წარმოების საკითხებს, დროულად გამოამჟღავნონ ნაკლოვანებანი და არ დააყოვნონ მათ გამოსასწორებლად ზომების მიღება. პარტიული ორგანიზაციები ამ მუშაობაში უნდა დაეყრდნონ პარტიულ და სამეურნეო აქტივს, განამტკიცონ აქტივთან კავშირი, ფართოდ გაშალონ კრიტიკა და თვითკრიტიკა, აამაღლონ პარტიულ-პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობის დონე.

მთელი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა ამიერკავკასიის რკინიგზაზე ახლა იქითკენ უნდა წარიმართოს, რომ კიდევ უფრო გავაძლიეროთ რკინიგზელთა შრომითი აქტივობა, უზრუნველვყოთ სახელმწიფო ტვირთბრუნვის გეგმების პირნათლად შესრულება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ სოციალისტური შეჯიბრება კიდევ უფრო ფართოდ გაიშალოს, კიდევ უფრო მასობრივი გახდეს.

ჩვენი რკინიგზელების წინაშე ამჟამად უაღრესად პასუხსაგები ამოცანებია. ამ ამოცანათა შესრულება მოითხოვს არა მარტო სამეურნეო ხელმძღვანელობის მკვეთრ გაუმჯობესებას, არამედ ამასთანავე სატრანსპორტო პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებასაც. უნდა აღმოიფხვრას კადრებისადმი არაბოლშევიკური დამოკიდებულება, რასაც, სამწუხაროდ, ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელ მუშაკთა შორის აქა-იქ კიდევ აქვს ადგილი. შიშველი ადმინისტრირება, კადრებისადმი უხეში მოპყრობა დაგმობილი მეთოდია და ამ მეთოდს ბოლშევიკური ხელმძღვანელობის სტილთან საერთო არაფერი აქვს. დიდი სტალინი გვასწავლის, რომ საჭიროა კადრებს მოვეპყროთ მზრუნველობით, დავეხმაროთ მათ ზრდაში, არ დავიშუროთ საამისოდ დრო. ბელადის ეს მითითება ყოველთვის უნდა ახსოვდეთ რკინიგზის ტრანსპორტის ხელმძღვანელებს.

ამიერკავკასიის რკინიგზის პარტიულ, კომკავშირულ, პროფესიულ და სამეურნეო მუშაკთა ღირსების საქმეა შეუნელებლივ იბრძოლონ კადრების აღსაზრდელად საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით, სიძნელეთა გადალახვის მზადყოფნის სულისკვეთებით. ამიერკავკასიის რკინიგზელთა კოლექტივი, რომელსაც მრავალი წლის განმავლობაში ბოლშევიზმის ტრადიციებზე, ლენინ-სტალინის პარტიისათვის თავდადების, დიდი სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით ზრდიდა ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია, ეჭვი არ არის, კიდევ უფრო მტკიცედ დაირაზმება და მკვეთრად გააუმჯობესებს მუშაობას, რათა პირნათლად შეასრულოს მის წინაშე მდგომი დიდი ამოცანები.

მ. ბალავაძე
საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოადგილე ტრანსპორტის დარგში.

საუკეთესოდ დავამუშაოთ ნათესები, ვემზადოთ მოსავლის აღებისათვის

ჩქარა თავთავები დამძიმდებიან

ნიავი აშრიალებს ტანაყრილ ყანას. უკანასკნელი წლების განმავლობაში ასეთი ყანა აქ არავის უნახავს. განცვიფრებულია სამოცდაათწელს გადაბიჯებული გიორგი ვახტანგიშვილიც კი. იგი შემოდგომაზე ბეჯითად მუშაობდა ამ ნაკვეთებზე, და ახლა მას ახარებს თავისი ნაშრომის დანახვა. ჩქარა თავთავებიც დამძიმდებიან. ცელი მზადა აქვს გიორგის. მოხუცი კოლმეურნე საძნე ურემს არემონტებს.

მარიამ იაკობაშვილიც არ არის მოცლილი. მან სარეველა ბალახი არ გააჩარა ყანაში. მარიამისათვის ძვირფასია ეს ყანა. პატრიოტმა ქალმა კარგად იცის, რაც უფრო უხვი მოსავალი იქნება აღებული, მით უფრო ძლიერი იქნება ჩვენი ქვეყანა, მისი მშობლიური კოლმეურნეობა, მისი ოჯახი. ამიტომ ასე სიყვარულითა და მზრუნველობით უვლის ყანას.

110 ჰექტარზე ღივლივებს ზნაურის რაიონის სოფელ თიღვის კოლმეურნეობის შემოდგომის პურეული. აქ ჰექტარზე საშუალოდ ოცდაათი ცენტნერი ხორბალი უნდა მიიღონ. ასეთია მათი პირობა. ეს თავდადებულ შრომას მოითხოვს. საჭიროა ყველაფერი წინასწარ იქნას გათვალისწინებული. ყოველი საჭირო ღონისძიების დროულად გატარებას მოსავლის გაზრდა შეუძლია.

კარგად გვითხრა მემინდვრეობის მეოთხე ბრიგადის ხელმძღვანელმა ვასილ ოსიტაშვილმა — მოსავალს რომ კარგი პირი უჩანს, ეს გვახარებს, მაგრამ როდი გვამშვიდებს. გაგვეგონებათ — მოსავალი მაშინ დაიკვეხე, როცა ბეღელში შეინახავო. ამიტომ მუშაობა არ უნდა შევანელოთ, უხვი მოსავლის მიღებას მხოლოდ ენერგიის დაუზოგავი შრომით შევძლებთ.

კოლმეურნეობის მთელი სახნავ-სათესი ფართობი მოსავლელად მიჩენილი აქვთ ცალკეულ კოლმეურნეებს. ეს ხელს უწყობს საერთო საქმეს.

მემინდვრეობის ბრიგადები მზრუნველობით უვლიან ყველა კულტურას. კოლმეურნეობას სიმინდი 27 ჰექტარზე აქვს დათესილი. შარშან ცალკეულმა რგოლებმა თვითეულ ჰექტარზე 35 ცენტნერი მოსავალი მიიღეს. ეს არ არის ცუდი მაჩვენებელი; მაგრამ ამ წარმატებით დაკმაყოფილება აღარ შეიძლება. წელს კოლმეურნეობამ საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე 50 ცენტნერი სიმინდი უნდა მიიღოს. ცალკეულ რგოლებს კიდევ უფრო მეტი მოსავლის მიღების ვალდებულება აქვთ აღებული.

აქ უნდა დავასახელოთ ზოგიერთი კოლმეურნე, რომლებიც განსაკუთრებით კარგად ამუშავებენ სიმინდის ნათესებს. ასეთებია: ნინო მაისურაძე, პელაგია გაგიევა, იოსებ და ვასილ ოსიტაშვილები, პეტრე თხელიძე და სხვ.

სხვა სამუშაოც ბევრი აქვთ თიღველებს. კოლმეურნეები თვითეული ჰექტარიდან, 600 ცენტნერი ჭარხლის მიღებისათვის იბრძვიან. განსაკუთრებით კარგად არის განვითარებული შაქრის ჭარხლის ის ნათესი, რომელსაც მემინდვრეობის მესამე ბრიგადის რგოლი დაუზარელი კოლმეურნის ვანო ოსიტაშვილის ხელმძღვანელობით უვლის.

ვენახი და ხილის ბაღიც უხვ მოსავალს ჰპირდება სოფელს. თიღველი კოლმეურნეები მალე დასტკბებიან თავიანთი თავდადებული შრომის უხვი ნაყოფით.

ვლ. გელაშვილი
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ყველა კოლმეურნე უნდა მონაწილეობდეს უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში

წითელწყაროელი კოლმეურნეები თავდადებული შრომის საუკეთესო ნიმუშებს იძლევიან. კოლმეურნეობებში საგაზაფხულო კულტურების თესვის წარმატებით დამთავრებისთანავე გაჩაღდა ნათესების დამუშავება.

სოფელ ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ნ. მამაიაშვილი) სიმინდის თოხნაზე ყოველდღიურად 500-ზე მეტი კოლმეურნე მუშაობს. ნათესებში გატანილია 1.000-მდე ტონა ნაკელი. მემინდვრეობის მეხუთე ბრიგადამ (ხელმძღვანელი გ. ნაჩრაშვილი) ჯეჯილების მარგვლა ვადამდე დაამთავრა, 50 ჰექტარი მზესუმზირაც გათოხნა, 15 მაისიდან კი სიმინდის თოხნას შეუდგა. ასევე კარგად მუშაობენ ხ. გოგოლაშვილისა და ი. რობიტაშვილის ბრიგადები.

წითელწყაროს კოლმეურნეობა „კომუნარში“ (თავმჯდომარე ვ. სულაშვილი) შარშან ნათესების დამუშავების ხარისხი დაბალი იყო. წელს კოლმეურნეობის 794 ჰექტარი ხორბლეულის ცალკე რგოლებისათვის მიჩენით პასუხისმგებლობა გაიზარდა. ნათესებში სარეველა ბალახები მოსპობილია. 100 ჰექტარ ნათესში შეტანილია 600 ტონა ნაკელი. კოლმეურნეობა 140 ჰექტარი ნათესის ყოველ ჰექტარზე 30-მდე ცენტნერ პურს მოელის. ამ მიზნის მისაღწევად კარგად მუშაობენ ბრიგადირები ილო ხარაშვილი, ქიტა ლაპიაშვილი და დიმიტრი კიკილაშვილი. კოლმეურნეობაში გაჩაღებულია სიმინდისა და მზესუმზირას მეორე თოხნა. 133 ჰექტარი სიმინდისა და 180 ჰექტარი მზესუმზირას ნათესიდან წელს შარშანდელზე ორჯერ მეტ მოსავალს მოელიან. თოხნაში მოხუცებიც მონაწილეობენ. მაგალითად, მოხუცმა კოლმეურნემ შაქრო ხარაშვილმა წელს თოხნაში 110 შრომადღე გამოიმუშავა, ხოლო ანა მენთეშაშვილმა მარტო 7 დღეში 15 შრომადღე. კოლმეურნე იოსებ ნადირაშვილის ოჯახი 3 ჰექტარი სიმინდის ნათესს ამუშავებს, ვასო თარაშვილისა კი — 2,5 ჰექტარს. ამ კოლმეურნეებმა ნათესები ორჯერ გათოხნეს და ადგილობრივი სასუქიც საკმაოდ შეიტანეს. კოლმეურნეობას უქნარებიც ჰყავს. მაგალითად, გ. ხარაშვილმა 6 დღეში მხოლოდ 0,25 ჰექტარი სიმინდი გათოხნა და ისიც დაბალხარისხოვნად. ზ. ლაპიაშვილს 1 ჰექტარი სიმინდის ნათესი მიუჩინეს, მაგრამ თოხნა 26 მაისსაც არ ჰქონდა დაწყებული. კოლმეურნეობის გამგეობამ კოლმეურნე ანა მაძღარაშვილი შარშან სამჯერ მისცა პასუხისგებაში შრომადღეების სავალდებულო მინიმუმის გამოუმუშავებლობისათვის, მაგრამ რატომღაც სასამართლოს ამაზე არც კი უმსჯელია. ანა მაძღარაშვილი წელსაც ზარმაცობს. საკოლმეურნეო შრომას თავს არიდებენ აგრეთვე რომანოზ ადუღიშვილი, ვასო ჯანაშვილი და ნიკო ლაპიაშვილი

აქედან კოლმეურნეობის ხელმძღვანელებმა სათანადო დასკვნა უნდა გააკეთონ. მივაღწიოთ იმას, რომ ყველა კოლმეურნე მონაწილეობდეს უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში.

გ. ყაჯრიშვილი
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

გეგმები არ სრულდება. პლანტაციები მოუვლელია

ხობის რაიონის კოლმეურნეობებში ჩაის ფოთოლი უხვად შემოვიდა. მიუხედავად ამისა, კრეფა ნელი ტემპით მიმდინარეობს. რაიონის არც ერთ კოლმეურნეობას არ შეუსრულებია მაისის გეგმა.

სოფელ ახალი ხიბულის კოლმეურნეობა „ნოთეს“ (თავმჯდომარე ი. შეროზია) მაისში 12.350 კილოგრამი ჩაი უნდა მოეკრიფა, მოჰკრიფა მხოლოდ 7.625 კილოგრამი. ამ კოლმეურნეობაში პლანტაციების მოუვლელობის გამო ჩაის ბუჩქების განვითარება შეფერხებულია. არღვევენ კრეფის წესებსაც. ხან ჰკრეფენ დაგვიანებით, ხან კი განუვითარებელ ფოთოლსაც. ამით უფრო ამცირებენ მოსავლიანობას.

უარესი მდგომარეობაა ძველი ხიბულის სოციალიზმის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ბ. ყურაშვილი). აქ სანახევროდაც არ არის შესრულებული პლანტაციების კულტივაციისა და აზოტოვანი სასუქის შეტანის გეგმები. პლანტაციები დასარეველიანებულია. კოლმეურნეებისათვის ჩაის ფართობების დასამუშავებლად მიჩენას მხოლოდ ფორმალური ხასიათი აქვს.

ჩაის ფოთლის კრეფას მოუმზადებელი შეხვდა ხობის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობა. აქ ფარდულიც არ მოუწყვიათ და მოკრეფილ ფოთოლს ცისქვეშ ყრიან. არ ჰყოფნით აგრეთვე გოდრები.

საჯიჯაოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში მოუწესრიგებელია შრომა. კოლმეურნეები სამუშაოზე გვიან გამოდიან და ადრე ანებებენ თავს. ამიტომ გეგმები არ სრულდება. მაისში ნაცვლად 12.730 კილოგრამისა მოკრეფილია მხოლოდ 123 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ამავე სოფლის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში ყურადღება არ ექცევა ხარისხს. 1.127 კილოგრამი მოკრეფილი ფოთლიდან 730 კილოგრამი უხარისხო აღმოჩნდა. უხარისხო ფოთოლს ჰკრეფენ აგრეთვე შუა ქვალონის მარქსისა (თავმჯდომარე კ. ალანია) და ბიის ბერიას (თავმჯდომარე ი. იოსავა) სახელობის კოლმეურნეობებში.

ნოჯიხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ლ. ცხადაია) ცუდად უვლიან ჩაის პლანტაციებს. „საცქირიოს“ უბანზე პირველ და მეორე ბრიგადებში 9,5 ჰექტარი ჩაი დაუმუშავებელია, გაუწმენდავია სადრენაჟო ქსელი, ნაკვეთი ცუდად არის შემოკავებული, რის გამო პლანტაციას პირუტყვი აზიანებს. მეოთხე ბრიგადაში ერთი ჰექტარი ჩაი ეკალბარდებითაა დაფარული.

რაიონმა წელს სახელმწიფოს 460 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი უნდა ჩააბაროს, აქედან მაისში 73.900 კილოგრამი უნდა მოეკრიფა, რაც სანახევროდაც არ არის შესრულებული.

კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებმა, სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებმა და პარტიული ორგანიზაციების მდივნებმა ამთავითვე უნდა მიიღონ გადამჭრელი ზომები ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ როგორც მაისის დანაკლისის დაფარვის, ისე ივნისის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის.

ალ. წურწუმია
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ვიბრძვით უხვი მოსავლის მოსაყვანად

შარშან ჩვენი რაიონის კოლმეურნეებმა თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის თებერვლის პლენუმის ისტორიული დადგენილების განხორციელებისათვის ბრძოლაში. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ჩაის პლანტაციების მოვლა და დამუშავება, ფართოდ დაინერგა ჩაის უხვი მოსავლის ოსტატთა გამოცდილება. წარმატებით შესრულდა დიდი სტალინისათვის გაგზავნილი წერილით ჩვენი რაიონის მშრომელთა მიერ ნაკისრი ვალდებულებანი. კოლმეურნეებმა შარშან მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 739 ტონა მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 680 ტონისა. ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა შესრულდა 108,6 პროცენტით, ხოლო ლაო ჩაის დამზადებისა — 110,7 პროცენტით. ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადების წლიური გეგმა ვადამდე 38 პროცენტის გადაჭარბებით შესრულდა, ტუნგოს ნაყოფის ჩაბარებისა—43 პროცენტის გადაჭარბებით. წარმატებებია მოპოვებული მარცვლეულის მეურნეობის დარგშიც. სიმინდის მოსავლიანობის სახელმწიფო გეგმა 47,3 პროცენტის გადაჭარბებით შესრულდა. 7.000 ჰექტარის თითოეულ ჰექტარზე, გეგმით გათვალისწინებული 11 ცენტნერის ნაცვლად, კოლმეურნეებმა მოიყვანეს 16,2 ცენტნერი სიმინდი. ეს მაშინ, როცა 1946 წელს სიმინდის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 3,66 ცენტნერი იყო. თუ 1946 წელს რაიონში საშუალოდ კოლმეურნეებმა შრომადღეზე მიიღეს 1 კილოგრამი სიმინდი და 2 მანეთი და 50 კაპიკი, შარშან შრომადღეზე განაწილდა — 4,48 კილოგრამი სიმინდი და 3 მანეთი და 16 კაპიკი.

ლენინ-სტალინის პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს კოლმეურნეთა თავდადებულ შრომას. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, საქართველოს სოფლის მეურნეობის სხვა მოწინავეებთან ერთად, ჩვენი რაიონიდან დაჯილდოებულია 159 მუშაკი. აქედან 18 კაცს მინიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება. მაღალმა ჯილდომ კოლმეურნეთა შორის დიდი აღფრთოვანება და ენთუზიაზმი გამოიწვია. ყველა კოლმეურნეობამ იკისრა ახალი გადიდებული ვალდებულებანი წელს კიდევ უფრო უხვი მოსავლის მისაღებად.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ რაიონს მიღწევებთან ერთად ნაკლიც აქვს, რაც საჭიროა ამთავითვე გამოვასწოროთ. რაიონის 4 კოლმეურნეობას შარშან არ შეუსრულებია სიმინდის მოსავლიანობის სახელმწიფო გეგმა, ხოლო 3 კოლმეურნეობამ სახელმწიფოს 17.900 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი დააკლო. ამავე დროს, რაიონის 6 კოლმეურნეობაში შრომადღეზე ფულად არცერთი კაპიკი არ გაუციათ.

მართალია, რაიონში გადაჭარბებით შესრულდა ყურძნის დამზადების სახელმწიფო გეგმა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყურძნის მოსავლიანობის დარგში დავალება გაუნაღდებელი დარჩა. საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია მხოლოდ 12,5 ცენტნერი ყურძენი. შარშან შეუსრულებელი დარჩა აგრეთვე მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდის გეგმა — თითოეულ საფურაჟე ძროხაზე წლის მანძილზე მიღებული იქნა 258 ლიტრი რძე, ნაცვლად 500-სა.

ყველა ეს ნაკლი წელს გაითვალისწინეს რაიონის პარტიულმა, საბჭოთა და სოფლის მეურნეობის ორგანოებმა და დასახეს ღონისძიებანი მათ გამოსასწორებლად.

წელს ცხაკაიას რაიონის მშრომელებს დიდი ამოცანები აქვთ დაკისრებული. ჩაის მოსავლიანობა შარშანდელთან შედარებით 18 პროცენტით უნდა გავადიდოთ, ყურძნისა — ერთისამად, ბაღჩეულ-ბოსტნეული კულტურებისა.— ორნახევარჯერ. მნიშვნელოვნად უნდა გავზარდოთ ციტრუსოვანი კულტურებისა და ტუნგოს მოსავლიანობაც, ერთიორად და ერთისამად უნდა გადიდდეს მეცხოველეობის პროდუქტიულობა. 7.000 ჰექტარი ფართობის თითოეულ ჰექტარზე უნდა მივიღოთ 19 ცენტნერი სიმინდი, ნაცვლად შარშანდელი 16,2 ცენტნერისა.

პასუხსაგები სამუშაოებია ჩასატარებელი სუბტროპიკული, ტექნიკური და სხვა კულტურების დარგში. უნდა გავაშენოთ 30 ჰექტარი ხეხილი, 10,5 ჰექტარი ვენახი და ვაზის სანერგე, 100 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, 20 ჰექტარი ლიმონი, 12 ჰექტარი ფორთოხალი, 35 ჰექტარი აღმოსავლური ხურმა, 52 ჰექტარი ტუნგო, 8 ჰექტარი დაფნა, 45 ჰექტარი ბამბუკი და სხვ.

ჩაი ჩვენი რაიონის სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი კულტურაა. ამიტომ მის განვითარებასა და მოსავლიანობის გადიდებას განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ. კოლმეურნეებმა ერთსულოვნად მიიღეს ლანჩხუთის რაიონის მეჩაიეთა გამოწვევა, საქართველოს მოწინავე მეჩაიეთა მიმართვის შესაბამისად მთელი რიგი ვალდებულებანი იკისრეს და მათ შესასრულებლად მაღალნაყოფიერადაც მუშაობენ. რაიონის ყველა კოლმეურნეობაში ჩაის პლანტაციები მოსავლელად და დასამუშავებლად ბრიგადებისა და რგოლების შიგნით მიჩენილი აქვთ ცალკეულ კოლმეურნეებს. თითოეულმა კოლმეურნემ იცის ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის დავალება. დროზე დამთავრდა ჩაის პლანტაციების ბარვა და სასუქის შეტანა, არხების მოწყობა, გასხვლა-გაფორმება. სიმეჩხრის ლიკვიდაციისათვის 317 კილომეტრის მანძილზე ახალი ბუჩქები გავაშენეთ. ეს სამუშაოები კოლმეურნეობათა უმრავლესობამ მაღალხარისხოვნად ჩაატარა, აქა-იქ დაშვებული ნაკლი კი გამოსწორებულია.

ამჟამად ჩაის პლანტაციებში უკვე შეტანილია აზოტოვანი სასუქი. აგროტექნიკურ ვადებში იქნება შესრულებული ჩაის ახალი პლანტაციების გაშენების დავალება. კოლმეურნეობები წარმატებით მოემზადნენ ჩაის ფოთლის კრეფისათვის.

სოფლის მშრომელები განსაკუთრებული მზრუნველობით და მონდომებით უვლიან ციტრუსოვანთა პლანტაციებს. ყველა სამუშაო დროზე და ხარისხიანად შესრულდა. ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ წელს შარშანდელზე უხვი მოსავალი მივიღოთ.

მიუხედავად ამინდის არახელსაყრელი პირობებისა მთლიანად რაიონში გაცხოველებით მიმდინარეობს ხვნა-თესვა. მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ საგაზაფხულო სამუშაოები გააჭიანურეს სოფელ ზემო ჭალადიდის კოლმეურნეობა „დამკვრელმა“, სოფელ ზანის ბერიას სახელობის, სოფელ მენჯის ვოროშილოვის, სოფელ ნოსირის ტელმანის, სოფელ ფოცხოს დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობებმა, აგრეთვე ბეთლემის და ლეძაძამის სასოფლო საბჭოებში შემავალმა კოლმეურნეობებმა. საჭიროა მთელი ძალები გამოვიყენოთ ხვნა-თესვაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ უხვი მოსავლის ოსტატების — სოციალისტური შრომის გმირების მდიდარი გამოცდილების მასობრივად გავრცელებასა და დანერგვას. ჩვენი რაიონის ყველა კოლმეურნეობაში ცნობილია სოფელ ღეკლათის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წარჩინებული მერგოლეურის, სოციალისტური შრომის გმირის ამხ. ბაგრატ გვიჩიას გამოცდილება. იგი წლების მანძილზე ამინდის ყოველგვარ პირობებში სისტემატურად იღებს სიმინდის უხვ მოსავალს. ამხ. გვიჩიას რგოლმა შარშან 11,5 ჰექტარი ფართობის თითოეულ ჰექტარზე, გეგმით გათვალისწინებული 15 ცენტნერის ნაცვლად, 58,72 ცენტნერი სიმინდი მიიღო, ხოლო 3 ჰექტარი ფართობის თითოეულ ჰექტარზე — 107,63 ცენტნერი. პირადად ამხ. ბ. გვიჩიამ 1 ჰექტარი მიწა დაამუშავა და 933 ფუთი სიმინდი მოიყვანა. მაგრამ ამხ. გვიჩიასა და მისი რგოლის წევრებს მიღწეული როდი აკმაყოფილებთ. მათ გადაწყვეტილი აქვთ წელს 3 ჰექტარი ფართობის თითოეულ ჰექტარზე 1.000 ფუთი სიმინდი მიიღონ, დანარჩენ ფართობზე კი გეგმას მნიშვნელოვნად გადააჭარბონ.

ასევე დაუღალავად იბრძვიან ჩვენი რაიონის სხვა მოწინავე ადამიანებიც, სოციალისტური შრომის გმირები: ვალერიან ბახტაძე, სილოვან დავითაია, ილარიონ ტყებუჩავა, ევგენი შამათავა, შალვა და ოთარ გვარამია, კონსტანტინე ჯიჯელავა, დიმიტრი ქვარცხავა, იულო კვარაცხელია და სხვები, რომლებიც თავიანთი პირადი მაგალითით რაზმავენ კოლმეურნეებს ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის.

ჩვენი რაიონის მეჩაიეები აღფრთოვანებით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას „ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლისა და ციტრუსთა ნაყოფის უხვი მოსავლის მიღებისათვის კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭებისა და სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ“.

კოლმეურნეები ეცნობიან ბრძანებულებას და კონკრეტულ ვალდებულებებს კისრულობენ ჩაისა და ციტრუსების მოსავლიანობის გადიდების დარგში.

ცხაკაიას რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, კოლმეურნეები მთელი ძალით იბრძოლებენ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესასრულებლად, სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობის უზრუნველსაყოფად.

ვ. გუგუნავა

საქართველოს კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომის მდივანი

ჩაის ფოთლის კრეფა

5 ივნისისათვის საქართველოს სს რესპუბლიკის რაიონებში მოკრეფილი იყო 5.998,8 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, რაც წლიური გეგმის 14,6 პროცენტს უდრის.

ბათუმის რაიონში თვიური დავალება 20,6 პროცენტით არის შესრულებული, ქობულეთის რაიონში — 18,5 პროცენტით, გალის — 12,2, ოჩამჩირის— 11,4, გულრიფშის — 9,5, სოხუმის — 60, გუდაუთის — 8,1, მახარაძის — 13,5, ჩოხატაურის — 16,3, ლანჩხუთის — 21,6, სამტრედიის — 13,7, წულუკიძის — 7,3, ქუთაისის — 41,8, წყალტუბოს — 2,7, ტყიბულის — 27,9, ცხაკაიას — 11,2, აბაშის — 8,1, გეგეჭკორის — 10,6, ზუგდიდის — 5,5, წალენჯიხის — 24,7, ჩხოროწყუს — 11,7, ხობის რაიონში — 0,5 პროცენტით. ლანჩხუთის, გეგეჭკორის, ზუგდიდისა და ხობის რაიონების ცნობები არასრულია.

ჩაის საბჭოთა მეურნეობებში 5 ივნისისათვის მოკრეფილი იყო 1.091,9 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, — წლიური გეგმის 12,9 პროცენტი.

ადგილობრივი გაზეთების ფურცლებზე

პროფორგანიზაციების საპატიო ამოცანა

საბჭოთა ადამიანები ენერგიულად შრომობენ ხუთწლიანი გეგმის ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულებისათვის. ამ დიადი მიზნის განხორციელებაში მათ ეხმარება პროფესიული კავშირები. პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობას მიუძღვნა მოწინავე წერილი და მთელი გვერდი გაზეთმა „საბჭოთა აჭარამ“ 26 მაისს.

გვერდში, რომლის საერთო სათაურია: „უფრო მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ პროფორგანიზაციების მუშაობა“—მოთავსებულია სხვადასხვა ავტორების შემდეგი წერილები: „პარტიული ორგანიზაციის დახმარების შედეგად“, „დასვენების დღე“, „მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება ყურადღების ცენტრში“, „კულტურულ-მასობრივი მუშაობა დაივიწყეს“ და სარდაფი—„ავამაღლოთ საწარმოო თათბირის როლი“.

გაზეთში ნაჩვენებია ბათუმის თამბაქოს, სამკერვალო, ფეხსაცმლის ფაბრიკების, ტყავის ქარხნისა და საორთქლმავლო დეპოს პროფორგანიზაციების მუშაობის დადებითი მაგალითები და ნაკლოვანებანი. წერილში „ჩვენი უპირველესი მოვალეობა“—ბათუმის ტყავის ქარხნის მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე ლ. ასატურიანი სწერს:

„ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ სოციალისტური შეჯიბრებისადმი სწორ ხელმძღვანელობას. მუშა-მოსამსახურეებსა და ინჟინერ-ტექნიკოსებს დროულად გავაცანით ლენინგრადელთა მოწოდება ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ. ქარხნის კოლექტივი ერთსულოვნად გამოეხმაურა ლენინგრადელთა მოწოდებას და აღფრთოვანებით ჩაება ამ დიად სახალხო მოძრაობაში. საქარხნო კომიტეტი სათანადო დახმარებასა და ხელმძღვანელობას უწევს შეჯიბრების მონაწილეებს. სისტემატურად ვამოწმებთ აღებულ ვალდებულებათა შესრულებას, ვეხმარებით ყოველ მუშას წარმატებით გაანაღდოს თავისი პირობა“.

სანიმუშოდ დავამუშაოთ ნათესები, მოვემზადოთ მოსავლის ასაღებად

ამ სათაურით გაზეთი „სტალინური სიტყვა“ (საგარეჯოს რაიონი) 1 ივნისის ნომერში ბეჭდავს განყოფილებას. ამავე საკითხისადმი მიძღვნილია მოწინავეც.

რაიონში უკვე მწიფდება ადრეულად ნათესი პურის ყანები. მალე გაჩაღდება მოსავლის აღება. გაზეთში მოთავსებული წერილები მოგვითხრობენ მოწინავე კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შეუპოვარი შრომის შესახებ ნათესის სანიმუშოდ დამუშავებისათვის, მოსავლის ასაღებად უკეთ მომზადებისათვის. წერილში: „წარმატებით ემზადებიან“ ლ. ბაირამაშვილი სწერს:

„სოფელ ნინოწმინდის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში წელს 695 ჰექტარზე აიღებენ პურის მოსავალს. კოლმეურნეობა წარმატებით ემზადება მოსავლის აღებისათვის. აქ უკვე შეადგინეს მოსავლის აღების კალენდარული გეგმა, შეარემონტეს ინვენტარ-იარაღები, წესრიგზე მოიყვანეს 700 ტონის ტევადობის მარცვლეულის საწყობები, მიმდინარეობს მათი დეზინფექცია, მინდვრად ააშენეს ხორბლის საშრობი ფარდულები, კოლმეურნეობამ მოიმარაგა სახწორები და სხვა საჭირო ინვენტარი“.

წუნწუხი მნიშვნელოვნად ადიდებს მოსავლიანობას

გაზეთ „ჩხარის კოლმეურნის“ 27 მაისის ნომერში მოთავსებულია წუნწუხის შესახებ რაიონის მთავარი აგრონომის ა. ბუცხრიკიძის წერილი. წერილში ნაჩვენებია წუნწუხის უდიდესი მნიშვნელობა მოსავლიანობის გადიდებისათვის.

„წუნწუხი სწრაფად მოქმედი სასუქია, მცენარე ადვილად ითვისებს მას. წუნწუხი განსაკუთრებით მდიდარია აზოტოვანი და კალიუმიანი ნივთიერებით, რაც განსაკუთრებით აკლია ჩვენს ნიადაგებს. წუნწუხი უმჯობესია გამოყენებულ იქნას მცენარეთა დამატებით გამოსაკვებად მცენარეთა ზრდა-განვითარების პერიოდში. წუნწუხის დასამზადებლად ხმარობენ ახალ, ჯერ კიდევ გადაუმწვარ ნაკელს. ყრიან მას თავლია ჭურჭელში (ქური, ხის ან ცემენტის აუზი) ერთი მესამედის ტევადობით. შემდეგ ორი მესამედის რაოდენობით უმატებენ წყალს, გათქვეფავენ და მიილებენ ფაფის მაგვარ სითხეს. თქვეფავენ 4-6 დღეს, სანამ ის დუღილს არ დაამთავრებს. შემდეგ ერთ ვედრო ასეთ სითხეს გაურევენ 10-8 ვედრო სუფთა წყალს. ასეთი სახით შეაქვთ იგი მცენარის ძირში“

შემდეგ წერილში მოთხრობილია წუნწუხის შეტანის დრო, დოზა და წესები.

საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის მდივნის ანგარიში საოლქო კომიტეტის ბიუროზე

ამას წინათ საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიურომ მოისმინა გულრიფშის რაიონის სოფელ მერხეულის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნის ამხ. პ. გვარამიას ანგარიში.

კოლმეურნეობამ შარშან თამბაქოს ჩაბარების სახელმწიფო გეგმა 155,4 პროცენტით შეასრულა, სიმინდის საჰექტარო მოსავლიანობის გეგმას 31,4 პროცენტით გადააჭარბა. მნიშვნელოვნად გადიდდა კოლმეურნეობის საერთო შემოსავალი და შრომადღის საფასური. შარშან ფულადი შემოსავალი 343.323 მანეთით მეტი იყო, ვიდრე წინა წელს, შრომადღეზე განაწილდა 4,1 კილოგრამი სიმინდი და 13 მანეთი ფულად, მაშინ როდესაც 1946 წელს გაცემული იყო 956 გრამი სიმინდი და 8 მანეთი.

მიმდინარე წელს კოლმეურნეები უფრო უკეთესად მუშაობენ. საგაზაფხულო ხვნა-თესვა კოლმეურნეობამ აგროვადებში მაღალხარისხოვნად დაამთავრა. წელს უფრო მეტი რაოდენობით არის გამოყოფილი თამბაქოსა და სიმინდის სტახანოვური ჰექტარები, რომლებსაც კომუნისტები ამუშავებენ.

ეს მიღწევები მოპოვებულია კოლმეურნეობაში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებით.

მაგრამ საკოლმეურნეო პარტორგანიზაციას ჯერ კიდევ ბევრი აქვს გასაკეთებელი.

განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული კომუნისტების პოლიტიკური სწავლება და ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობა. გასული წლის აპრილიდან პარტორგანიზაციასთან არსებობს ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი წრე, რომელმაც ფაქტიურად მუშაობა შესწყვიტა ორი მეცადინეობის შემდეგ. ეს საკითხი 25 ივლისს პარტიულ კრებაზე განიხილეს, მაგრამ მიიღეს ისეთი დადგენილება, რომელიც არავის არაფერს ავალებდა. ამიტომ, ბუნებრივია, წრის მუშაობა არ გაუმჯობესებულა. ასევე მოდუნებულია საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი წრის მუშაობა. ამის შემდეგ გასაგებია, რომ კომუნისტები ბ. შენგელია, ვ. ჭოლოკიანი, გ. ჩეპნიანი ვერ ერკვევიან ელემენტარულ პოლიტიკურ საკითხებში.

კოლმეურნეობაში მომუშავე 33 კომუნისტიდან 17-ს არა აქვს პარტიული დავალება. გასულ წელს 20 კომუნისტს სრულებით არ მიუღია მონაწილეობა პარტიული კრებების მომზადებაში. ახალგაზრდა კომუნისტები ი. თოლორაია, ვ. ფაცაცია, ა. მალხასიანი, ა. ჩეპნიანი და სხვები მოწყვეტილი არიან ყოველდღიურ პარტიულ ცხოვრებას.

პარტორგანიზაცია არც საგიტაციო მუშაობას უთმობს ჯეროვან ყურადღებას. მეოთხე და მეშვიდე ბრიგადების აგიტატორებს ე. ესართიას და ნ. ლვინჯილიას ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების შემდეგ მხოლოდ სამ-სამი საუბარი აქვთ ჩატარებული. ამასთან ისინი პოლიტიკურად მოუმზადებელნი არიან, გაზეთებსაც კი სისტემატურად არ კითხულობენ. ცუდად მუშაობენ აგიტატორები შ. ქარჩავა და ლ. ქარდავა.

მერხეულის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის მუშაობის ეს ნაკლოვანებანი იმას მოწმობენ, რომ ამ ორგანიზაციას არასაკმაოდ ეხმარება გულრიფშის რაიკომი და პირადად მისი საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილება. ეს თუნდაც იქიდან სჩანს, რომ მიმდინარე წლის 31 იანვრის რაიონული კონფერენციის შედეგები და რაიკომის ბიუროს 28 თებერვლის დადგენილება ამ პარტორგანიზაციაში ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობის შესახებ აქ პირველ აპრილამდე არ განუხილავთ.

პარტიის საოლქო კომიტეტის ბიურომ აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციის მუშაობის გაუმჯობესებისათვის დასახა საჭირო ღონისძიებანი. საოლქო კომიტეტის ეს დადგენილება განიხილა საკოლმეურნეო პარტორგანიზაციამ და გადადგა პირველი ნაბიჯები მის განსახორციელებლად.

ს. შონია

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

6 ივნისს სამგორის ველზე

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

წელს ხშირწვიმიანი გაზაფხული იყო ქართლში და ამის გამო ბალახი მომძლავრებულა სამგორის ველზე, თორემ შარშან და შარშანწინ აქ ბალახის სახსენებელიც არ იყო, სპილენძისფერი გადაჰკრავდა მიწას.

ამ დილით მთელი თბილისი დაძრულა სამგორისაკენ. კახეთის გზატკეცილზე წეროებივითაა გამწკრივებული ძსუბუქი და საბარგო მანქანები. თბილისის მშრომელები ხალისით მიეშურებიან საშვილიშვილო საქმეში მონაწილეობის მისაღებად. მათ თან მიაქვთ ყოველგვარი ხელსაწყო, რაც კი საჭიროა არხის გასათხრელად.

მანქანამ გადაუხვია კახეთის გზატკეცილიდან და დილის რიჟრაჟში უკვე ახმაურებული შემოგვეგება სამგორის ველი.

„აი სამგორი, ქართველს რამდენი
შრომა და გარჯა უქმად უქცია,
ივრისოდენა ოფლი შთაუნთქამს
და ოხვრის მეტი რა მოუცია“...

როცა ფეხს დაადგამ სამგორის მიწას, მეტი სიცხოველით ცოცხლდებიან მეხსიერებაშინაირ-ნაირი ლეგენდები და ხალხური თქმულებანი; აგერ, ორ სარზე საველე გაზეთია გაკრული, ერთ წერილში გახსენებულია ლეგენდა სამგორის შესახებ—დევმა როგორ წაართვა სამგორელებს წყალი, როგორ გადახმა ხეხილი და ვენახი სამგორის ველზე, როგორ დასკდა მიწის ზედაპირი და მერე ორი ვეფხვი ვაჟკაცი როგორ შეებრძოლა დევს, წასჭრეს თავები და წყალმა ისევ დაუბრუნა სიცოცხლე სამგორს.

ჩვენთან პირველი უბნის უფროსი ინჟინერი ირაკლი თვალაძეა და იგი დაწვრილებით გვიყვება ახლანდელი სამგორის ამბავს:

შარშან და შარშანწინ „სამგორწყალმშენი“ და „ხრამჰესმშენი“ მოსამზადებელ სამუშაოებს აწარმოებდნენ სამგორის ველზე. გავიყვანეთ მისასვლელი გზები, ავაგეთ საცხოვრებელი სახლები მუშებისა და ინჟინრებისათვის, აბანო-სამრეცხაო, სასადილო, საწყობები, გარაჟი, გავიყვანეთ წყალსადენი.

ახლა ხედავთ — როგორი შრომაა გაჩაღებული მაგისტრალურ არხზე; ცხადია, „სამგორწყალმშენი“ მარტო თავისი კადრებით ახლო ხანში ვერ შეასრულებდა ასეთ გიგანტურ სამუშაოს, ეს სახალხო შრომა კი უზრუნველჰყოფს სამგორის პირველი რიგის მშენებლობის დამთავრებას მიმდინარე ხუთწლედშივე.

როდესაც მთავარი არხი დატოტდება და მდინარე იორის წყალი შემოიჭრება სამგორის ველზე — მაშინვე დაიწყება ხეხილის ბაღებისა და ვენახის გაშენება. 37.500 ჰექტარ მორწყულ სამგორის მიწაზე შვიდი ათას ხუთას ჰექტარზე გაშენდება ხეხილის ბაღები, ხუთი ათას ჰექტარზე — ვენახი, ამდენივე ადგილი დაეთმობა ბოსტნეულს, მარცვლეული კულტურები დაითესება-თვრამეტი ათას ორას ჰექტარზე. მთავარი არხის გაყოლებაზე გაშენდება ახალი სოფლები, სამგორის ახალ მოსახლეთათვის გამოყოფილია ათას რვაასი ჰექტარი მიწა. ყოველ ეზოს დაამშვენებს ხეხილის ბაღი, ვენახი და ბაღჩა.

ახლო ხანში ქართველის ოჯახი დამკვიდრდება სამგორზე, გაჩაღდება კერა, ქართველის მარჯვენა იოსტატებს სამგორში, ქართული სიმღერა იწკრიალებს აღორძინებულ მხარეში.

* * *

სამგორის არხის მშენებლობაში განსაკუთრებით აქტიურ მონაწილეობას იღებენ თბილისის მშრომელები, თბილისის, გარდაბნის, მცხეთისა და ბოლნისის რაიონების კოლმეურნეები. ამ რაიონებმა სამგორის მაგისტრალურ არხზე უნდა შეასრულონ ორმოცდახუთი ათასი კუბმეტრი მიწის სამუშაო, 6 ივნისისათვის უკვე ამოთხრილი და გადაადგილებული იყო ოცდათერთმეტი ათასზე მეტი კუბმეტრი მიწა. ყველაზე უფრო სწრაფი ტემპით მიჩენილი სამუშაო შეასრულა თბილისის ბერიას სახელობის რაიონმა. ასეთივე წარმატებით მუშაობენ ლენინის, სტალინის, ორჯონიკიძის და მოლოტოვის სახელობის რაიონების მშრომელები.

გარდაბნის, მცხეთისა და ბოლნისის რაიონების კოლმეურნეებმა თითქმის მოათავეს გეგმით გათვალისწინებული მიწის სამუშაოები.

6 ივნისი დიდი შემოქმედებითი შრომის დღე იყო სამგორის ველზე. აქ თქვენ ნახავდით თბილისის უმაღლესი სასწავლებლის პროფესორებსა და დოცენტებს, სპეციალური ტექნიკური და შრომითი რეზერვების სკოლების პედაგოგებსა და მოსწავლეებს, საბჭოთა და პარტიულ დაწესებულებათა მოსამსახურეებს, მცხეთელ, გარდაბნელ და ბოლნისელ კოლმეურნეებს.

ჩვენ ვფიქრობდით, რომ პირველნი მივიდოდით სამგორის ველზე, მაგრამ ჩვენი სურვილი არ გამართლდა; თბილისის ლენინის რაიონის მშრომელები დილის 6 საათისათვის მოსულან თავიანთ სამუშაო უბანზე, უკვე გამოუშვიათ საველე გაზეთების პირველი ნომრები, ამ გაზეთებში მოთხრობილია ყველაზე უკეთესად მომუშავეთა ამბავი, არხის ორივე მხარეზე ალისფერი დროშები აღუმართავთ, დროშების ტარებზე გადაჭიმულია პლაკატები — „სახალხო შრომით სიცოცხლე დავუმკვიდროთ სამგორს“... მაგრამ ამ ალიონზე მოსულთათვისაც დაუსწრიათ ბოლნისელ და მცხეთელ კოლმეურნეებს, მათ წუხანდელი ღამე სამგორზე გაითენეს კარვების ქვეშ და, როგორც მუხრანელმა კოლმეურნემ ივანე ზარიაშვილმა გვითხრა, სალამი დაასწრეს განთიადს.

მცხეთის რაიონის მშრომელებს მთავარი არხის პირველ უბანზე (სოფელ დიდი ლილოს და მარტყოფის მახლობლად) უნდა ამოეთხარათ ექვსი ათასი კუბმეტრი მიწა. მცხეთის რაიონიდან ხუთასზე მეტი კოლმეურნე მოვიდა სამგორის სამუშაოებზე. 4 ივნისს მცხეთელი კოლმეურნეები ორმოცი ავტომანქანით მოვიდნენ თავიანთ სამუშაო უბანზე. მათ თან მოიტანეს კარვები, ხელსაწყოები და სურსათ-სანოვაგე. მუშაობა თავიდანვე სწრაფი ტემპით გაჩაღდა. მუხრანელმა კოლმეურნემ ივანე ზარიაშვილმა ქებით მოიხსენია არჩილ დონიჯიშვილი, ივანე კბილაშვილი, ალექსანდრე იორამაშვილი, ივანე დალაქიშვილი და კიდევ მრავალი თანასოფლელი კოლმეურნე, რომელთაც ადრევე მოათავეს მათთვის მიჩენილი სამუშაო და ამჟამად სხვებს შველიან.

სამგორის არხის მშენებლობაზე ასევე ორგანიზებულად მოვიდნენ ბოლნისის და გარდაბნის რაიონების კოლმეურნეები. შესვენების დროს კოლმეურნეებს ესაუბრებიან აგიტატორები, საღამოს კი, მუშაობის დამთავრების შემდეგ, უჩვენებენ კინოსურათს, ეწყობა ჭიდაობა და სხვა მასობრივი გართობანი.

— ასეთი ძარღვიანი და ნოყიერი მიწა იშვითია ქართლში — ამბობს ივანე ზარიაშვილი. — ხომ ხედავთ, თოფისწამლის ფერია, განსაკუთრებული გემოსი იქნება აქ გახარებული და დამწიფებული ხილი, ბევრი მზე იქნება სამგორულ ყურძენში, სამგორული ხორბალი როდი ჩამოუვარდება შირაქისას, — დიახ, იშვიათია სამგორის მიწა, ეს წყალიააყვავილებს სამგორის ველს! არა, ქართლში იშვიათად მინახავს ასეთი მიწა...

შუადღის ბუღმა იმძლავრა, მაინც არ ნელდება შრომა, მოპირული ბარები ელავენ მზის შუქზე, არ წყდება სიმღერა და შეძახილები, სახალხო შრომა ხმიანობს სამგორის ველზე და ამ შრომის ფერხულში ისმის პოეტის სტრიქონები —

„წყალი სწყუროდა დასიცხულ
ყამირს,
ამიტომ იყო დღემუდამ მწყრალი,
სტალინმა სთქვა—და სამგორის
მიწამ
უნდა დღეიდან დალიოს წყალი“...

შებინდებისას მინელდა ხმაურობა სამგორის ველზე. ახლა მიწისმზომელები და ტექნიკოსები აღნუსხავენ დღევანდელი მუშაობის შედეგს. აქედან ხელის გულივით ჩანს გაჩირაღდნებული მთაწმინდა. ახლო მომავალში მთაწმინდის მსგავსად ხეივნები დაამშვენებენ სამგორის ველს, ვეებერთელა ტბის ნაპირებზე გაშენებულ ბაღებსა და სკვერებში დასასვენებლად მოვლენ დედაქალაქის მშრომელები.

თბილისის ინდუსტრიალური ტექნიკუმის თანამშრომლები სამგორის არხის მშენებლობაზე — წინა პლანზე მასწავლებელი მ. გიორგაძე.

მიწის სამუშაოები მთავარი არხის პირველ უბანზე, წინა პლანზე მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ივანე ზარიაშვილი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა და რ. აკოფოვისა

ინგლისელ და ამერიკელ მზვერავთა ახალი პროვოკაცია

ბერლინი, 28 მაისი. (საკდესის სპეციალური კორესპონდენტისაგან). ქალ. ბრემენში (გერმანია) ა. წ. 23 აპრილს საიდუმლო ვითარებაში დაიკარგა საბჭოთა კავშირის სამხედრო ადმინისტრაციის სარეპარაციო სამმართველოს სატრანსპორტო ჯგუფის ინსპექტორი გერმანიაში, გვარდიის პოდპოლკოვნიკი ი. დ. ტასოევი.

როგორც ცნობილია, ქალ. ბრემენს კონტროლს უწევენ ამერიკელები, რის გამო საბჭოთა სარდლობამ ამერიკის სარდლობას მიმართა თხოვნით დაუყოვნებლივ მოენახა პოდპოლკოვნიკი ტასოევი და ამერიკელ ხელისუფალთ დააკისრა პასუხისმგებლობა ტასოევის სიცოცხლისა და უშიშროებისათვის. ამავე დროს საბჭოთა სარდლობამ გამოჰყო სპეციალური კომისია ტასოევის დაკარგვის გარემოებათა გამოსარკვევად. მაგრამ ამერიკელმა სამხედრო ხელისუფლებმა მიზეზების განუმარტებლად უარი სთქვეს შესაძლებლობა მიეცათ საბჭოთა კომისიისათვის ბრემენს წასულიყო ამ საქმის გამოსარკვევად.

ათი დღის განმავლობაში ამერიკელი ხელისუფალნი გერმანიაში არ იძლეოდნენ არავითარ ცნობას პოდპოლკოვნიკ ტასოევის ადგილსამყოფელის შესახებ.

ამერიკელ ხელისუფალთა წინააღმდეგობის მიუხედავად, საბჭოთა ხელისუფლებმა მაინც შესძლეს გამოერკვიათ, რომ ა. წ. 23 აპრილს საღამოს ტასოევი, ამერიკის ოფიციალური წარმომადგენლის ბრემენის ნავსადგურის უფროსის კლემის მიწვევით, ვახშმად წავიდა მის ბინაში შემდეგი მისამართით—მაგბურგ-ალეია 22, და შინ არ დაბრუნებულა. გერმანიაში საბჭოთა კავშირის სამხედრო ადმინისტრაციის სარეპარაციო სამმართველოს რწმუნებულის მოვალეობის აღმსრულებელმა ბრემენის ნავსადგურში ლეიტენანტმა ბელიაკოვმა, რომელიც ტასოევთან ერთად ცხოვრობდა მეორე დღეს დილის 7 საათზე ტელეფონით დარეკა კლემის ბინაში, რომ გაეგო, თუ სად იყო ტასოევი. მას უპასუხეს, კლემი წავიდა და ტასოევი კლემის ბინაში არ იმყოფებაო. ბელიაკოვმა იმავე დღეს მაინც შესძლო შეხვედროდა კლემს და მოსთხოვა მას აეხსნა, თუ სად იმყოფება ტასოევი. კლემმა განუცხადა, ტასოევი ჩემი და ჩემი ცოლის მოწვევით ვახშამზე მოვიდა ჩვენთან, შემდეგ კი იგი ჩემი ბინიდან წაიყვანა რომელიღაც ორმა უცნობმა პირმა, რომლებიც აგრეთვე ამ დღეს მოწვეული მყავდა ვახშამზეო. კლემის ასეთი განმარტების უაზრობა თვალში ეცემოდა კაცს. ამასთანავე კლემი თავის განმარტებებში დაიბნა და ამხ. ბელიაკოვის დაჟინებით მოთხოვნაზე — ეცნობებინა გარემოება, რომელშიც ტასოევი წაყვანილ იქნა მისი ბინიდან. ტასოევის დაკარგვის ახალი ვერსია მოიგონა. კლემმა განაცხადა ტასოევი და სხვა პირები ვახშმად რომ მოვიწვიეთ, მე და ჩემი ცოლი თეატრში წავედით, ხოლო თეატრიდან რომ დავბრუნდით, გავიგე, რომ ტასოევი ჩემს სტუმრებს წაეყვანათო. ყველა ეს დაუჯერებელი განმარტება, რა თქმა უნდა, ვერ დააკმაყოფილებდა ლეიტენანტ ბელიაკოვს, რომელმაც დაჟინებითი მოთხოვნის შემდეგ შესძლო, რომ იგი მიეღო ამერიკის სამხედრო სარდლობის წარმომადგენელს ბრემენში, I რანგის კაპიტან ჯევსს. ჯევსის მიერ მიწვეულმა კლემმა გაიმეორა თავისი უაზრო ნაამბობი ტასოევის დაკარგვის შესახებ, ამასთან უარი სთქვა დაეკმაყოფილებინა ბელიაკოვის მოთხოვნა დაესახელებინა თავისი „სტუმრები", რომლებმაც ტასოევი წაიყვანეს. 7 მაისამდე ამერიკის სარდლობას საბჭოთა სარდლობისათვის არ მიუცია არავითარი პასუხი ტასოევის შესახებ.

7 მაისს ამერიკის სამხედრო გუბერნატორის მოადგილემ გერმანიაში, გენერალ-მაიორმა ჰეისმა გერმანიაში საბჭოთა კავშირის სამხედრო სარდლობისადმი თავის წერილში იმის ნაცვლად, რომ განემარტა ამერიკელი ოფიცრის ბრემენის ნავსადგურის უფროსის კლემის სახლიდან საბჭოთა პოდპოლკოვნიკ ტასოევის დაკარგვის გარემოება, დაიმოწმა ინგლისის პრესაში მაისის დამდეგს გამოქვეყნებული ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ „პოდპოლკოვნიკი ტასოევი თავისი ნებით ჩამოვიდა ინგლისში, სადაც ის მიღებულ იქნა პოლიტიკურ ლტოლვილთათვის თავშესაფარის მიცემის არსებული ტრადიციის შესაბამისად".

მალე საბჭოთა სამხედრო სარდლობისათვის ცნობილი გახდა, რომ პოდპოლკოვნიკი ტასოევი, რომლის შესახებაც დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ცნობა გამოაქვეყნა, რომ ის „ინგლისში თავისი ნებით ჩამოვიდაო", ლონდონში პატიმრობაში იმყოფებოდა და საპყრობილეში იყო. იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭოთა ხელისუფლებმა დაადგინეს ეს ფაქტი, რომელიც აბათილებს ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებას იმის შესახებ, რომ პოდპოლკოვნიკი ტასოევი თავისი ნებით ჩავიდა ინგლისში და რომ მას ინგლისში „თავშესაფარი" მიეცა, როგორც პოლიტიკურ ლტოლვილს, და გერმანიაში საბჭოთა სამხედრო სარდლობის მტკიცე მოთხოვნის შედეგად ტასოევი ინგლისელებმა ლონდონიდან ბერლინში ჩაიყვანეს და 20 მაისს საბჭოთა ხელისუფლებს გადასცეს.

როგორც ამჟამად უკვე ზუსტად არის გამორკვეული, პოდპოლკოვნიკ ტასოევის მიმართ ინგლის-ამერიკის ხელისუფლებმა ინგლისისა და ამერიკის დაზვერვის ხელმძღვანელობით უმაგალითო ძალადობა ჩაიდინეს, როგორც გამოირკვა, 1948 წლის 23 აპრილს ბრემენის ნავსადგურის უფროსმა ამერიკელმა კლემმა მართლაც მიიწვია ტასოევი თითქოს ვახშმად. იმისათვის, რომ ტასოევს თან არ წაეყვანა ლეიტენანტი ბელიაკოვი, რომელთანაც ერთად იყო ხოლმე ჩვეულებრივად, ბელიაკოვი „სასწრაფო" საქმეზე დაიბარეს ნავსადგურში, თითქოს საბჭოთა გემის „სუჩანის" დატვირთვასთან დაკავშირებით. კლემი შინ არ აღმოჩნდა. ტასოევს შეხვდა დიასახლისი—კლემის ცოლი, რომელმაც რუსული ენა იცის, წინათ ბალტიისპირეთის საბჭოთა რესპუბლიკებში უცხოვრია და უცნაურ პირობებში წასულა გერმანიაში, სადაც 1946 წელს ცოლად გაჰყოლია კლემს. მან ტასოევი გააცილა სასადილო ოთახში, სადაც რამდენიმე მამაკაცი იყო. კლემის ცოლმა ისინი ტასოევს გააცნო, როგორც თავისი მეგობრები, მალე გამოცხადდა კლემი, რომელსაც ახლდა ტასოევისათვის უცნობი 5 პიროვნება. ვახშმის შემდეგ, რაც დიდხანს არ გაგრძელებულა, სტუმრებს შესთავაზეს ავტომანქანებით გასეირნება ბრემენში, მაგრამ, როგორც კი ტასოევი მანქანაში ჩაჯდა და ყველა დაიძრა, ტასოევთან მყოფმა ორმა პიროვნებამ მოულოდნელად შეუკრა მას ხელები, და, ამგვარად, ძალადობის გამოყენებით, გადაიყვანა იგი ინგლისის ზონაში, სადაც იგი განთიადამდე დააკავეს. განთიადისას ამავე პირებმა ტასოევი ძალით შეიყვანეს თვითმფრინავში და ლონდონში წაიყვანეს. თვითმფრინავში ლაპარაკით ტასოევი მიხვდა, რომ იგი ინგლისის დაზვერვის ხელში იყო. მას სულ მუდამ ურჩევდნენ, რომ ინგლისში უკეთესად იცხოვრებდა, ვიდრე საბჭოთა კავშირში, ხოლო ფრენის დროს თვითმფრინავში ერთ-ერთი ინგლისელი არწმუნებდა მას, რომ ისინი მიფრინავდნენ მონტგომერის თვითმფრინავით, ალბათ იმ იმედით, რომ ტასოევი დააფასებდა „ესოდენ დიდ პატივს", რაც მას დასდეს.

ლონდონში ტასოევი მიიყვანეს ბინაზე „Bischon Kings Rod", 16-23. ეს ბინა, როგორც შემდეგში გამოირკვა, აგრეთვე ინგლისის დაზვერვის შესახვედრი ადგილი იყო.

გარდა ბინის დიასახლისისა, რომელმაც თავი მისის ვიგინგად გააცნო, და მისი ქალიშვილის ბეტისა, რომელიც ინგლისის დაზვერვის თანამშრომელია, ტასოევს მიუჩინეს 2 კაცი, რომლებიც დღედაღამ არ სცილდებოდნენ მას. ტასოევთან განუწყვეტლივ მიდიოდნენ რუსული ენის მცოდნე ინგლისელი მზვერავები, რომლებიც აგრეთვე ურჩევდნენ მას დარჩენილიყო ინგლისში და ებრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მას ბინაზე მიუტანეს დიდძალი ანტისაბჭოთა ლიტერატურა, მენშევიკური „სოციალისტიჩესკი ვესტნიკით" დაწყებული, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოდის, და თეთრგვარდიული გაზეთებით დამთავრებული, რომლებსაც ლონდონში უშვებენ. ინგლისელი მზვერავები არწმუნებდნენ ტასოევს, რომ საბჭოთა ხელისუფლებმა იგი მოღალატედ გამოაცხადა და რომ დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უკვე გამოაქვეყნა ცნობა იმის შესახებ, რომ ის თავის ნებით ჩავიდა ინგლისში და პოლიტიკური ლტოლვილია. ისინი ცდილობდნენ დაემტკიცებინათ ტასოევისათვის, რომ შექმნილი მდგომარეობიდან მისთვის ერთადერთი გამოსავალი იყო განცხადების მიცემა იმის შესახებ, რომ იგი პოლიტიკური მოტივებით გაიქცა საბჭოთა კავშირიდან და სთხოვს ინგლისის მთავრობას მისცეს მას თავშესაფარი.

ინგლისის ხელისუფალთა წარმომადგენლები მუქარით, შანტაჟით და ძალადობით ცდილობდნენ მიეღოთ ტასოევისაგან რაიმე დოკუმენტი, რომელიც გაამართლებდა მისდამი ჩადენილ ამ უპრეცედენტო ძალადობას და როგორმე დაეღწიათ თავი ამ სკანდალური საქმისათვის, რომელიც დიდად გახმაურდა ტასოევმა კატეგორიული უარი სთქვა რაიმე განცხადების დაწერაზე და მოითხოვდა, რომ იგი გადაეცათ საბჭოთა საელჩოსათვის ლონდონში.

6 მაისს ტასოევმა მოატყუა მისი მცველი ინგლისელები, გამოვარდა ქუჩაში, შეიჭრა გამოფენა „ოლიმპიის" ტერიტორიაზე და დიდძალ თავმოყრილ ხალხთან დაიწყო ყვირილი, რომ იგი საბჭოთა პოდპოლკოვნიკია, რომელიც ინგლისელებმა და ამერიკელებმა მოიტაცეს ბრემენში, და თხოულობდა დაეკავშირებინათ იგი საბჭოთა საელჩოსთან ლონდონში. პოლიციელმა, რომელსაც საყელოზე ჰქონდა ტრაფარეტული ნიშნები F —55. გულისხმიერად შესთავაზა თავისი სამსახური ტასოევს, მაგრამ მიიყვანა იგი არა საბჭოთა საელჩოში, არამედ საპოლიციო დივიზიონის საპყრობილეში. Brun Grin Rod, 19.

6-დან 20 მაისამდე ტასოევი პოლიციის საპყრობილეში იყო, ყოველდღე მიმართავდა სიტყვიერი და წერილობითი მოთხოვნებით ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს და სთხოვდა პოლიციის სარდლობას მიეცათ მისთვის საბჭოთა საელჩოს წარმომადგენლის ნახვის უფლება ანდა ეცნობებინათ მის შესახებ საბჭოთა საელჩოსათვის ლონდონში. ამ კანონიერ მოთხოვნათა დაკმაყოფილების ნაცვლად, ინგლისელი მზვერავები ურჩევდნენ ტასოევს არ დაბრუნებულიყო სსრ კავშირში, არამედ ხელი მოეწერა რაღაც განცხადებისათვის, რომელსაც ისინი აჩეჩებდნენ. რადგან ტასოევი ამაზე უარს აცხადებდა, მას არაერთხელ სცემეს. ამასობაში მთელი ეს ამბავი უფრო და უფრო ცნობილი ხდებოდა. მოსალოდნელი სკანდალის თავიდან ასაცილებლად, ინგლისის ხელისუფლები, რაკი დარწმუნდნენ, რომ მათი პროვოკაცია ჩაიშალა, იძულებული გახდნენ დაებრუნებინათ ტასოევი გერმანიაში და გადაეცათ იგი აქ საბჭოთა ხელისუფლებისათვის. საბჭოთა ოფიცრის მიმართ ასეთი აღმაშფოთებელი ძალადობა არ შეიძლება დაუსჯელი დარჩეს ინგლის-ამერიკის დაზვერვის აგენტებისათვის, რომელთა დანაშაულებრივი მოქმედებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ ინგლისამერიკის სამხედრო ხელისუფალთ გერმანიაში.

მადლობა საბჭოთა მთავრობას ფინეთის სარეპარაციო გადასახდელთა შემცირებისათვის

ჰელსინკი, 5 ივნისი. (საკდესი). გუშინ სსრ კავშირის დესპანი ჰელსინკში ინახულა ფინეთის სეიმის თავმჯდომარემ ფაგერჰოლმმა, რომელმაც ფინეთის სეიმის სახელით მადლობა განუცხადა საბჭოთა მთავრობას იმის გამო, რომ საბჭოთა მთავრობამ გადასწყვიტა შეემსუბუქებინა ფინეთის სარეპარაციო გადასახდელები. ფაგერჰოლმმა განაცხადა, რომ ეს გადაწყვეტილება ხელს შეუწყობს ფინეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას.

გუშინ საბჭოთა დესპანი ინახულეს აგრეთვე შემდეგმა დელეგაციებმა: ფინეთის კომუნისტური პარტიის ალმასკომის დელეგაციამ უუსიტალოს და ბილე პესის შემადგენლობით, რომელმაც გადასცა ადრესი გენერალისიმუს სტალინის სახელზე, ფინეთის ხალხის დემოკრატიული კავშირის დელეგაციამ კულოს და ტუუნე ტუომინენის შემადგენლობით, ფინეთის ქალთა დემოკრატიული კავშირის, ფინეთის ახალგაზრდობის დემოკრატიული კავშირის, ქალაქ ჰელსინკისა და მისი მიდამოების მთელ რიგ დიდ საწარმოთა მუშებისა და სხვადასხვა პროფკავშირთა დელეგაციებმა. ყველა დელეგაციამ გადასცა ადრესები გენერალისიმუს სტალინის სახელზე და ღრმა მადლობა განუცხადა საბჭოთა მთავრობას და პირადად გენერალისიმუს სტალინს სარეპარაციო გადასახდელთა შემცირების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებისათვის. ყველა დელეგაცია იმ აზრისაა, რომ საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირის დიდი საჩუქარია ფინელი ხალხისადმი. ბევრი დელეგაცია თავის გამოსვლაში პირობას იძლეოდა, რომ ფინელი ხალხი ღირსი იქნება ფინეთისადმი საბჭოთა კავშირის მეგობრული დამოკიდებულების ამ დიდსულოვანი გამოვლინებისა და ყოველ ღონეს იხმარს ორივე ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის.

საბჭოთა მისია კვლავ იღებს სამადლობელ დეპეშებს მუშათა კრებებისა და მიტინგებისაგან, რომლებიც ამჟამად მთელ ფინეთში იმართება სარეპარაციო გადასახდელთა შემცირების შესახებ საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

მდგომარეობა პალესტინაში

პარიზი, 5 ივნისი. (საკდესი) როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ხაიფიდან იუწყება, ებრაელთა საჰაერო ძალები თავს დაესხნენ არაბთა ნაწილებს, რომლებიც განლაგებული არიან სამარია-ნაბლუს-ტულკარმის სამკუთხედში. აღნიშნულია, რომ ბომბები პირდაპირ მოხვდა ჯარების თავმოყრის ცენტრებსა და ამ ქალაქების მიდამოებში მდებარე სამხედრო ნაგებობებს.

პარიზი, 5 ივნისი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ტელ-ავივიდან იუწყება, იქ ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ებრაელთა ჯარები შევიდნენ ქალაქ ჯენინში, არაბთა მნიშვნელოვან ცენტრში იერუსალიმისაკენ მიმავალ გზაზე. ჯენინი 12 წლის განმავლობაში იყო ბაზა, საიდანაც არაბები თავს ესხმოდნენ ებრაელთა ახალშენებს ჩრდილოეთ პალესტინაში.

პარიზი, 5 ივნისი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ტელ-ავივიდან გადმოგვცემს ებრაელთა რადიოს ცნობას, რომ „უმნიშვნელოვანეს საიდუმლოებას, რაც ებრაელთა სახელმწიფოს უშიშროებას შეეხება, ყოველდღიურად გადასცემენ არაბებს ისრაელის სახელმწიფოში მყოფი გამცემი ინგლისელები და განსაკუთრებით ინგლისელი ჟურნალისტები, რომლებიც ამ მიზნით კორესპონდენტის მოწმობას იყენებენ. ასეთი ჟურნალისტები, რომლებიც მიმოსვლის სრული თავისუფლებით სარგებლობენ, საფრთხეს უქმნიან ებრაელთა სახელმწიფოს, რომელიც თავისი არსებობისათვის იბრძვის". რადიომ ისრაელის სახელმწიფოს ყოველ მცხოვრებს მოუწოდა დაიცვას სამხედრო საიდუმლოება და ფხიზლად იყოს.

ბეირუთი, 5 ივნისი. (საკდესი). გაზეთი „ალ-ჰაიათი" ეხება პალესტინის ფრონტებზე არსებულ მდგომარეობას და სწერს, რომ ამჟამად ყველაზე აქტიური სამარო ოპერაციები ერაყის ჯარების მოქმედების სექტორში სწარმოებს. დიდი ბრძოლებია ქალაქებს ჯენინსა და აფულეს შუა, აგრეთვე ტულ-კარმის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე რაიონსა და პეტახ-ტიკვის რაიონში.

გაზეთი აღნიშნავს, რომ ებრაელთა ჯარებმა გააძლიერეს შეტევითი აქტივობა ფრონტის ყველა უმნიშვნელოვანეს უბანზე და განსაკუთრებით პეტახ-ტიკვა—რას-ელ-აინის უბანზე. ებრაელთა სარდლობა, სწერს გაზეთი, ცდილობს ხელი შეუშალოს ერაყისა და ტრანსიორდანიის ჯარების შეტევას ტელ-ავივზე.

გაზეთი „ბეირუთი" იუწყება, რომ პალესტინაში ჩადიან ერაყის ჯარების დიდი მაშველი ძალები, რომელთაც სავსებით თანამედროვე საჭურველი აქვთ.

უნგრეთის მთავრობის მიმართვა საბჭოთა მთავრობისადმი სარეპარაციო გადასახდელთა შემცირების შესახებ

ბუდაპეშტი, 5 ივნისი. (საკდესი). გუშინ შემდგარ მინისტრთა საბჭოს სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ლაიოშ დინიეშმა გამოაქვეყნა წერილი, რომლითაც მას უნგრეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით მიმართა ამ პარტიის გენერალურმა მდივანმა—პრემიერ-მინისტრის მოადგილემ მატიას რაკოშიმ. ამ წერილში, რომელიც დღეს დედაქალაქის გაზეთებმა გამოაქვეყნეს, ნათქვამია:

„უნგრეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი წინადადებას იძლევა, რომ ჩვენი რესპუბლიკის მთავრობამ საბჭოთა კავშირის მთავრობას მიმართოს თხოვნით სარეპარაციო გადასახდელთა შემცირების შესახებ.

რესპუბლიკის მთავრობას შეუძლია ეს თხოვნა იმით ახსნას, რომ მას მუდამ ღირსების საქმედ მიაჩნდა სარეპარაციო ვალდებულებათა შესრულება და, უნგრეთის მძიმე ეკონომიური მდგომარეობის მიუხედავად, ამ ვალდებულებებს უაღრესი სიზუსტით ასრულებდა. აგრეთვე ლოიალურად და მეგობრულად ასრულებდა საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ხელშეკრულებებს. შემდეგ უნდა აღინიშნოს, რომ სარეპარაციო გადასახდელთა შემცირება ერთობ კეთილისმყოფელ გავლენას მოახდენდა იმ სამწლიანი გეგმის პროგრამის განხორციელებაზე, რომლის მიზანიც არის დემოკრატიული უნგრეთის პოლიტიკური და ეკონომიური განმტკიცება და მშრომელთა საარსებო დონის ამაღლება. უნგრეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობა და გენერალისიმუსი სტალინი, რომლებიც წინათ დიდი გაგებით ეპყრობოდნენ ჩვენს სიძნელეებს და არაერთგზის გაუწევიათ ჩვენთვის დახმარება, ახლაც პატივისცემით მოეკიდებიან ჩვენს ამ თხოვნას".

მინისტრთა საბჭომ ერთსულოვნად მიიღო მატიას რაკოშის წინადადება.

დღეს დილით საგარეო საქმეთა მინისტრმა ერიკ მოლნარმა ინახულა სსრ კავშირის ელჩი უნგრეთში გ. მ. პუშკინი და თავისი მთავრობის სახელით გადასცა მინისტრთა საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილება. ელჩმა პუშკინმა აღუთქვა მინისტრს, რომ ამ გადაწყვეტილებას აცნობებს სსრ კავშირის მთავრობას.

რუმინეთის მთავრობის კომუნიკე

ბუქარესტი, 4 ივნისი. (საკდესი). დღეს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმმა პრესაში გამოსაქვეყნებლად გადასცა შემდეგი კომუნიკე:

„დღეს, 4 ივნისს, 11 საათზე პრემიერ-მინისტრ დოქტორ პეტრუ გროზას თავმჯდომარეობით შესდგა მინისტრთა საბჭოს სხდომა. მინისტრთა საბჭოს ვიცე-თავმჯდომარემ და რუმინეთის მუშათა პარტიის გენერალურმა მდივანმა გიორგი გეორგიუ-დეჟმა რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით წინადადება შეიტანა მიმართონ სსრ კავშირის მთავრობას თხოვნით — განიხილოს თუ რამდენად შესაძლებელია შემცირდეს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ვალდებულებანი სსრ კავშირის მიმართ სამხედრო რეპარაციის დარგში.

მინისტრთა საბჭომ განიხილა რუმინეთის მუშათა პარტიის გენერალური მდივნის წინადადება და დაადგინა მიმართოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გენერალისიმუს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს შემდეგი წერილით:

„ბატონო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარევ, გენერალისიმუსო სტალინ! რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა მიმართავს სსრ კავშირის მთავრობას თხოვნით—განიხილოს, თუ რამდენად შესაძლებელია შემცირდეს თანხა, რომელიც რუმინეთის სახელმწიფოს გადასახდელი დარჩა სამხედრო რეპარაციის ანგარიშში. ვალდებულებათა ეს შემცირება, რომელიც სიძნელეებს შეგვიმსუბუქებს, დიდი დახმარება იქნება ჩვენი ხალხისათვის იმ ღონისძიებებში, რომლებსაც იგი ახორციელებს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიკის განმტკიცებისა და განვითარებისათვის. ჩვენ ვიცით, თუ რა გულითად მეგობრობასა და დახმარებას უწევდით თქვენ პირადად და თქვენი ხელმძღვანელობით საბჭოთა მთავრობა რუმინელ ხალხს მისი მძიმე განსაცდელის პერიოდში და ამიტომ ნებას ვაძლევთ ჩვენს თავს იმედი ვქონიოთ, რომ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის თხოვნა მიღებულ იქნება მხედველობაში. გთხოვთ, ბატონო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარევ, მიიღოთ ჩვენი დიდი პატივისცემა.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
დოქტორი პეტრუ გროზა"

უოლესის ინტერვიუ რადიოთი

ნიუ-იორკი, 5 ივნისი. (საკდესი). 3 ივნისს ინტერვიუში, რომელიც ალბუკერკიდან (ნიუ-მექსიკოს შტატი) მთელ ამერიკის შეერთებულ შტატებში რადიოთი გადასცეს, პრეზიდენტობის კანდიდატმა მესამე პარტიისაგან უოლესმა კვლავ განაცხადა, რომ ამერიკა—საბჭოთა კავშირის უთანხმოების მოწესრიგება შეიძლება ისე, რომ ამასთან მსხვერპლად არ იქნას მიტანილი ამერიკის რაიმე პრინციპი ან სახელმწიფო ინტერესი. უოლესმა დაჰგმო მუნდტის კანონპროექტი.

რადიომაუწყებელ კომპანიის „კოლუმბიის" წარმომადგენელმა მეროუმ, რომელიც ინტერვიუს გადასცემდა, ჰკითხა უოლესს, თქვენი ვარაუდით რამდენ ხმას მიიღებთო. უოლესმა უარი სთქვა რაიმე ეწინასწარმეტყველნა, მაგრამ განაცხადა, რომ იგი მიიღებს იმ „ადამიანთა ხმებს რომელთაც სწყურიათ მშვიდობის დამყარების პრაქტიკული გეგმები".

მეროუმ იკითხა, რა დახმარებას უწევენ უოლესს კომუნისტები და მიესალმება თუ არა იგი ამ დახმარებას. კომუნისტები, სთქვა უოლესმა, ილაშქრებენ იმის წინააღმდეგ, რომ მე პროგრესულ კაპიტალიზმს ვიცავ, მაგრამ მხარს მიჭერენ, რადგან მე ვამბობ, რომ ჩვენსა და რუსეთს შორის შეიძლება მშვიდობა იყოს. მე არ უკუვაგდებ ამ მხარდაჭერას რასაც იმიტომ მიწევენ, რომ მშვიდობის საქმეს ვიცავ.

მეროუმ სთხოვა უოლესს გამოეთქვა აზრი სხვა კანდიდატთა პიროვნების შესახებ. უოლესმა უარი სთქვა ამაზე და განაცხადა, რომ სხვა კანდიდატებს შორის არ არის ძირითადი პროგრამული უთანხმოება, ხოლო გადაწყვეტილება არჩევნებში მიღებულ უნდა იქნას პოლიტიკაში არსებული უთანხმოების და არა პიროვნებათა შორის არსებული უთანხმოების მიხედვით.

მეროუმ ჰკითხა, ფიქრობს თუ არა უოლესი, რომ უთანხმოება შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის შეიძლება გადაიჭრას სტალინთან პირად საუბარში. „მე დარწმუნებული ვარ,—სთქვა უოლესმა, — ოფიციალური პოსტი რომ მეკავოს, შევძლებდი მიმეღწია ძირითადი უთანხმოების მოწესრიგებისათვის ისე, რომ მსხვერპლად არ მიმეტანა ამერიკის არც ერთი პრინციპი და სახელმწიფო ინტერესები".

გაზეთ „ნიუ-იორკ პოსტის" ცნობებით, უკანასკნელი 25 დღის მანძილზე უოლესმა ამერიკაში მოგზაურობის დროს სიტყვა წარმოსთქვა დაახლოებით 129.000 კაცის წინაშე მიტინგებზე, რომლებიც 9 შტატის 19 ქალაქში გაიმართა.

უოლესის წინასაარჩევნო კამპანიის ხელმძღვანელმა ბოლდუინმა გამოაცხადა, რომ ახალი პარტია ოფიციალურად არის შეტანილი ალაბამის, კალიფორნიის, ნიუ-ჯერსის, ნიუ-იორკის, მიჩიგანის, პენსილვანიის, იუტას შტატებისა და ილინოისის შტატის კუკის ოლქის (ქალაქი ჩიკაგო) საარჩევნო სიებში. დამფუძნებელი ყრილობები თუ კონფერენციები შესდგა 24 შტატში და რამდენიმე დღეში შესდგება კიდევ სხვა 5 შტატში. 12 შტატიდან, სადაც საარჩევნო სიებში ახალი პარტიის შეტანის ვადა უკვე გავიდა, უოლესის მომხრეებმა მხოლოდ ფლორიდაში განიცადეს მარცხი.

გაზეთების ცნობით, უოლესმა 3 ივნისს სიტყვა წარმოსთქვა ალბუკერკის უნივერსიტეტის სტადიონზე და დაჰგმო ტრუმენის მთავრობა, რომელმაც არ მიიღო ზომები დასავლეთ სანაპიროზე წყალდიდობის თავიდან ასაცილებლად, რამაც უდიდესი ნგრევა გამოიწვია. უოლესმა ხაზგასმით აღნიშნა, წყალდიდობის თავიდან ასაცილებელ ღონისძიებათა სათანადო სისტემის შეიარაღებულ ძალებზე დახარჯული სახსრების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი დასჭირდებოდა და განაცხადა, რომ წყალდიდობაში ბრალი მიუძღვით „ხარბ, სულელ და არაშორსმჭვრეტელ ადამიანებს, რომლებიც მილიარდობით დოლარს ხარჯავენ ნგრევის მიზნით, ხოლო მომჭირნეობას იჩენენ ნამდვილი ეროვნული უშიშროების საქმეში".

როცა პოლიტიკური მოღვაწეები და მილიტარისტები, განაგრძო უოლესმა, აცხადებენ, ამერიკის არმიაში მხოლოდ 600 ათასი კაცი ირიცხებაო, ისინი სიმართლის მხოლოდ მცირე ნაწილს ამბობენ. „ჩვენ 5 მილიარდი დოლარი დავხარჯეთ 5 მილიონი კაცისაგან შემდგარი ჩინეთის არმიის შესანახავად. უკანასკნელ წელს მილიარდი დოლარის მასალა გავგზავნეთ თურქეთის სამხედრო სისტემის დასახმარებლად. ეს მრავალი მილიარდი, რასაც ჩვენ ვხარჯავთ, რათა განვამტკიცოთ არმიები ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში, საბერძნეთსა და ლათინურ ამერიკაში და რათა დახმარება გავუწიოთ ისეთ კოლონიურ სახელმწიფოებს, როგორიცაა ინგლისი, საფრანგეთი, ბელგია და ჰოლანდია,—მთელი ეს მილიარდები ეროვნული დაცვის საბაბით იხარჯება". ამერიკის ახლანდელი საგარეო პოლიტიკის მიზანი, სთქვა უოლესმა, „მხოლოდ ის არის, რომ დაეხმაროს საერთაშორისო მსხვილ კაპიტალს და ხელისუფლებას მოწყურებულ მილიტარისტებსა და ადამიანებს, რომლებიც მოგებისაკენ ისწრაფვიან".

ბელინსკის გარდაცვალების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 8-9 ივნისს ჩატარდება სამეცნიერო სესია, მიძღვნილი დიდი რუსი დემოკრატისა და მოაზროვნის ბ. გ. ბელინსკის გარდაცვალების 100 წლისთავისადმი.

სესია იმუშავებს შემდეგი გეგმით: 9 ივნისს პროფესორი ს. დანელია წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: „ბელინსკი და მისი წინამორბედი რუსული ლიტერატურული კრიტიკა", უფროსი მეცნიერ თანამშრომელი მ. ბაისოგოლოვა —„ ბელინსკი მწერლის შემოქმედების შესწავლის ძირითადი პრინციპების შესახებ" (რუსულად), დოცენტი ალ. ქუთელია—„ბელინსკის ფილოსოფიური მოძღვრება", უფროსი მეცნიერ თანამშრომელი ბ. ჟღენტი—„ბელინსკი და საბჭოთა სალიტერატურო კრიტიკა".

9 ივნისს: დოცენტი გ. ჯიბლაძე — „ბელინსკი და მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურა", პროფესორი ნ. ილინსკი—„ბელინსკი თანამედროვეთა მოგონებების მიხედვით" (რუსულიდან), უფროსი მეცნიერ თანამშრომელი ე. კრემერი—„ბელინსკის ნაწარმოებთა ენისა და სტილის შესახებ" (რუსულად), დოცენტი ვ. შადური—„ბელინსკი, როგორც ახალი რუსული სალიტერატურო კრიტიკის ფუძემდებელი".

სხდომები იწარმოებს 93-ე აუდიტორიაში. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობაზე

ჩატარდა მორიგი კალენდარული მატჩები ფეხბურთში. მოსკოვის დინამოს სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირის ჩემპიონის „ცდკა"-ს და მინსკის „დინამოს" გუნდები. თამაშის უკანასკნელ წუთებამდე უპირატესობა იყო მინსკელთა მხარეზე, რომელთაც „ცდკას" კარში გაიტანეს 2 ბურთი, ხოლო თავიანთ კარში მიღებული ჰქონდათ—1. ორიოდე წუთით უკლდა თამაშის დამთავრებას, როცა „ცდკას" თავდამსხმელებმა შესძლეს ანგარიშის გათანაბრება. თამაში დამთავრდა ფრედ 2 : 2.

კიევში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვისა და კიევის „დინამოს" გუნდები. მატჩი მოიგეს მოსკოველებმა ანგარიშით 4 : 0. მოსკოვის „სპარტაკმა" ანგარიშით 3 : 0 მოუგო მოსკოვის „კრილია სოვეტოვს" და 0 : 4 წააგო ლენინგრადის „ზენიტთან". „ზენიტისა" და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის" გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ 1 : 1. პირველი დამარცხება განიცადა ლენინგრადის „დინამომ", რომელმაც მატჩი წააგო სტალინგრადის „ტრაქტორთან" ანგარიშით 1 : 3.

დღემდე ჩატარებული მატჩების შედეგად თბილისის „დინამოს" აქვს 8 ქულა 10 შესაძლებელიდან, მოსკოვის „დინამოს"—7 ქულა 8 შესაძლებელიდან და „ცდკას"—7 ქულა 10 შესაძლებელიდან.

დღეს მოსკოვის ცენტრალურ სტადიონზე ტარდება პირველი წრის ყველაზე საინტერესო მატჩი. ერთმანეთს ხვდებიან გათამაშების ლიდერები—თბილისისა და მოსკოვის „დინამოს" გუნდები.

საქართველოს რადიოკომიტეტი აწყობს მატჩის ტრანსლაციას ქართულ ენაზე.

პირველობის გათამაშება „ბ" ჯგუფში

შარშანდელის მსგავსად, წელსაც ტარდება ფეხბურთის გათამაშება „ბ" ჯგუფში. გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად დაშვებული 74 გუნდი გაყოფილია 6 ზონად. სამხრეთის ზონაში მონაწილეობენ საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, დონის-როსტოვისა და ასტრახანის გუნდები. თბილისიდან შეჯიბრებაში მონაწილეობს „ლოკომოტივის", „ტოდოს" და „სპარტაკის" ფეხბურთელთა კოლექტივები.

პირველი კალენდარული მატჩი ჩატარდა თბილისში 6 ივნისს. ერთმანეთს შეხვდნენ ერევნის „სპარტაკი" და „ტოდო". უხალისო და ეფერული თამაში დამთავრდა ფრედ—1 :1.

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ბორის პავლეს-ძე ბეშჩევი დანიშნა გზათა მინისტრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ი. ვ. კოვალიოვი გაათავისუფლა გზათა მინისტრის მოვალეობისაგან მისი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი

სამხედრო მოქმედება პალესტინაში

ლონდონი, 5 ივნისი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კაიროელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, არაბულ ენაზე გამომავალმა ყოველკვირეულმა „ახბარ-ელ-იაუმმა" ცნობა გამოაქვეყნა, რომ პალესტინაში ეგვიპტის ჯარების სარდალმა გენერალმა მანავი-ბეიმ სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალებს უბრძანა—საყოველთაო შეტევა დაიწყონ პალესტინაში 5 ივნისს 4 საათზე ადგილობრივი დროით.

ლონდონი, 5 ივნისი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ტელ-ავივიდან გადმოგვცემს, ებრაელთა არმიის სარდლობის კომუნიკეში აღნიშნულია, რომ არაბთა სამკუთხედში ჯენინისა და ტულ-კარმის ირგვლივ სამარო მოქმედება გრძელდება გეგმის თანახმად. არაბთა არტილერია მოქმედებდა იორდანის ველზე. სროლა აუტეხეს ებრაელთა სოფლებს ტიბერიადის ტბის აღმოსავლეთ ნაპირზე.

ტელ-ავივი. 5 ივნისი. (საკდესი). რადიო „ისრაელის ხმა" გადმოგვცემს, რომ ერაყის ჯარების წინააღმდეგ გაფთრებული ბრძოლის შემდეგ ისრაელის არმია შევიდა ერთ-ერთ სოფელში, რომელსაც შეუპოვრად იცავდნენ. ერაყის ჯარებმა 200 კაცი დაჰკარგეს. ბრძოლის ველზე დახოცილთა შორის ბევრია ოფიცრის ფორმით გამოწყობილი. ისრაელის არმიამ დაჰკარგა 12 კაცი მოკლულთა სახით და 21 კაცი დაჭრილთა სახით.

ეს სოფელი ერაყის ჯარების კონცენტრაციის მნიშვნელოვანი ბაზა იყო. მას შემდეგ, რაც ისრაელის ჯარები სოფელში შევიდნენ, ერაყის ჯარებმა კონტრიერიში დაიწყეს, მაგრამ უკუქცეულ იქნენ დიდი ზარალით ცოცხალი ძალისა და შეიარაღების მხრივ.

ჯენინთან მდგომარეობა არ შეცვლილა. დღეს ებრაელთა ჯარები ინარჩუნებდნენ ქალაქის მისადგომებს.

ოფიციალურად განაცხადეს, რომ ერაყის კომუნიკეს ცნობა ისრაელის ჯარების ზარალის შესახებ სრულიად არ შეესაბამება სინამდვილეს.

შრომის წითელი დროშის ორდენის ლ. პ. ბერიას სახელობის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აცხადებს, რომ ა. წ. 17 ივნისს, დღის 12 საათზე, სააქტო დარბაზში შესდგება სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს ღია სხდომა, რომელზეც ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ:

შ. იოსელიანი, თემაზე: „Интенсификация процесса завяливаня в толстом слое при вертикальном транспорте чайного листа".

ოფიციალური ოპონენტები: ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **დ. თავხელიძე**, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **ი. ხოჭოლავა** და ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი **ნ. ნინუა**.

პ. ვ. მიქელაძე თემაზე: „**სატრაქტორო ძრავის ბრუნვათა რიცხვის რეგულირება მთაგორიან პირობებში მუშაობის დროს**".

ოფიციალური ოპონენტები: მეცნიერების და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე პროფესორი **კ. ამირაჯიბი**, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი **რ. დვალი**, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი **ა. სიხარულიძე**.

სადისერტაციო ნაშრომების გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

კინოფიკაციის სამმართველოს ესაჭიროება ბუხჰალტერ-რევიზორი და ბუხჰალტრები კინოთეატრებისათვის ქ. თბილისში და რაიონებში, ძირითად და შეთავსებით სამუშაოზე. ქართული ენის ცოდნა სავალდებულოა. პირობებისათვის მიმართეთ მთავარ ბუხჰალტერს, პლეხანოვის პროსპ. № 125, ტელეფ. № 3-49-44.

თბილისის მილიციის სამმართველოს პირადი შემადგენლობა იუწყება **მარიამ ხარაიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 8-VI, 5 ს. საბჭოს, 3.

ილო, თამარ, თეიმურაზ, ეთერ და მინდია მოსაშვილები იუწყებიან **ფილიმონ ზაქარიას-ძე ხუციშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 8-VI ვაქირში (სიღნაღის რ.).

დედა ნატალია, და ევგენია, ძმები რომანოზ, კალიტე, შალვა სირაძეები ოჯახებით იუწყებიან **მარო სოლომონის ასულ სირაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 8-VI, 8 ს. გამოსვენება 9-VI, 6 ს. პლეხანოვის, 110.

მაკა და გიზო დოლიძეები, ნაზი კუტალაძე იუწყებიან **დიანა კვირიკაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 8-VI, 6 ს. სასამართლოს, 26.

ც. აბესაძე, ო. გაბუნია, მ. გურგენიძე, რ. ვეფხვაძე, მ. თაბუკაშვილი, კ. კოკაშვილი, თ. ლომიძე, ა. ლუკავა, მ. მგელაძე, ნ. მელიქიძე, გ. სიმონიძე, ნ. ქებაძე, თ. ღიბრაძე, თ. ყიფიანი, ც. ციცხვაია, კ. უჩანეიშვილი, მ. ჯამბერიძე იუწყებიან **დიანა კვირიკაძის** გარდაცვალებას.

ნაჭყებია, კაკაურიძე, სიხარულიძე, ბერეკაშვილი, ჰელიძე, ნიკოლაიშვილი, მანჯგალაძე, ჩიქოვანი, გეგეჭკორი, ლაგვილავა, გაბეჩავა, გიორგაძე, კობიაშვილი, კვინიხიძე, თალაკვაძე, ჩიჩილაშვილი, აბულაძე იუწყებიან **მარო ხარაიძის** გარდაცვალებას.

მეუღლე ანა, შვილი ვახტანგ, რძალი ლიდა, შვილიშვილები ნანა, ზეინაბ ხუციშვილები იუწყებიან **ფილიმონ ზაქარიას-ძე ხუციშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 8-VI ვაქირში (სიღნაღის რ.).

აკაკი, ერმილე, გრიშა, პატიეშვილები, ამბროსი, სონა, ევგრაფი, იპოკრატე, ედუარდ შევარდნაძეები, გიორგი, იოსებ ბერეჟიანები იუწყებიან **ისაკ გლახუნის-ძე პატიეშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 10-VI მამათში (ლანჩხუთის რ.).

მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს პროფტექნიკური სკოლის თანამშრომლები იუწყებიან **მიხეილ მაქსიმეს-ძე ბუაძის** გარდაცვალებას.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის V კურსის მე-3 ჯგუფის სტუდენტები იუწყებიან **დიანა კვირიკაძის** გარდაცვალებას.

მშობლები ტატიანა და კონსტანტინე, და ლია ნიკოლაიშვილები, თენგიზ ჯაბადარი იუწყებიან **რეზო კონსტანტინეს-ძე ნიკოლაიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9-VI, 8 ს. გამოსვენება 10-VI, 6 ს. კლდიაშვილის, 8.

თბილისის ქალთა მე-19 საშუალო სკოლის პედკოლექტივი იუწყება მასწავლებელ **მარიამ სოლომონის ასულ სირაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 8-VI, 8 ს. გამოსვენება 9-VI, 6 ს. პლეხანოვის, 110.

მეუღლე თამარ, პავლე, ვარვარა, ლიზა, ქეთო ცაბოლოვები, შვილები ოური და ლინა დურგლიშვილები იუწყებიან **იოსებ პიოს-ძე დურგლიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 9-VI, 7 ს. გამოსვენება 10-VI, 6 ს.

შვილები ოლია, თამარ და ლეო, სტეფანე აკოფაშვილი ოჯახებით იუწყებიან **კონდრატი ექვთიმეს-ძე ინასარიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 8-VI, 8 ს. გამოსვენება 9-VI, 6 ს. საბა-სულხანის, 4.

დედა ნადია, მეუღლე ევგენია, და მაყვალა ოჯახით იუწყებიან ექიმ **ვახტანგ პოლიკარპეს-ძე კანდელაკის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9-VI, 7 ს. გამოსვენება 10-VI, 6 ს. ვორონცოვის, 112 (ლენინის რაიონი).

„მწვანე კონცახის" სანატორიუმის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი იუწყება სანატორიუმის დირექტორ ვახტანგ ხუციშვილის მამის **ფილიმონ ხუციშვილის** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის —3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოსი — 3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის — 3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, მორიგესა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110.000 უე 01935